

მარიამ ლურსმანაშვილი

**პატიმრობის, როგორც აღკვეთი ღონისძიების გამოყენების  
სამართლებრივი საფუძვლები**

წარმოდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მოსაპოვებლად

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

თბილისი, 0178, საქართველო

2020 წელი

საავტორო უფლება ©2020 წელი, მარიამ ლურსმანაშვილი

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი  
იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ავტორი ადასტურებს, რომ სამაგისტრო ნაშრომი მომზადებულია მის მიერ, ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცული მასალა ციტირებულია ისე, როგორც ეს მიღებულია აკადემიური ნაშრომების შესრულებისას და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

სამაგისტრო ნაშრომის არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლებას ავტორი ანიჭებს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა:

---

თარიღი :

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი  
იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ვადასტურებ, რომ გავეცანი მარიამ ლურსმანაშვილის მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს დასახელებით: „პატიმრობის, როგორც აღკვეთი ღონისძიების გამოყენების სამართლებრივი საფუძველი“ და ვამღევეთ რეკომენდაციას აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დასკვნითი გამოცდის/სამაგისტრო ნაშრომის დაცვის სპეციალური კომისიაში მის განხილვას სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

ხელმძღვანელი:

---

თარიღი :

## რეზიუმე

სადიპლომო ნაშრომი შეეხება პატიმრობის, როგორც აღკვეთის ღონისძიებების სამართლებრივ საფუძველს. თემაში საუბარი იქნება ზოგადად აღკვეთი ღონისძიების სახეებზე და დაწვრილებით იქნება განხილული პატიმრობის, როგორც აღკვეთი ღონისძიების გამოყენების უკიდურეს ფორმაზე, პატიმრობის გამოყენების წესზე, მიზანზე და ამოცანაზე. აქვე, განხილულ იქნება სასამართლო გადაწყვეტილებები და მათი დასაბუთებულობა.

ნაშრომი წარმოდგენილია 65 კომპიუტერული ნაბეჭდი გვერდით და მოიცავს შესავალ ნაწილს, სამ თავს, დასკვნასა და გამოყენებულ ლიტერატურას.

პირველ თავში განხილულია აღკვეთის ღონისძიების სახეები, მათი გამოყენების მიზნები და ამოცანები, მეორე თავი შეეხება აღკვეთის ღონისძიების სახეებს, მათი გამოყენების მიზნებსა და ამოცანებს, მესამე თავში საუბარი იქნება პატიმრობის გამოყენების შესახებ შუამდგომლობის მომზადებასა და განხილვაზე.

## **Abstract**

The thesis concerns the legal basis for detention as a preventive measure. The topic will focus on the types of preventive measures in general and the use of detention as an extreme measure, the manner, purpose and task of detention. Here, the judgments and their reasoning will be discussed.

The thesis contains 65 typed pages with introduction, three chapters, conclusion and used literature.

The first chapter discusses the types of preventive measures, their uses and objectives, the second chapter deals with the types of preventive measures, the purposes and objectives of their use, and the third chapter discusses the preparation and discussion of the application for custody.

## სარჩევი

შესავალი.....	1
თავი I. აღკვეთის ღონისძიების სახეები, მათი გამოყენების მიზნები და ამოცანები ...	4
თავი II. პატიმრობის, როგორც აღკვეთი ღონისძიების სამართლებრივი საფუძვლები.	8
2.1. პატიმრობა და მისი შერჩევითი გასათვალისწინებელი გარემოებები.....	16
2.1.1. ბრალდებულის პიროვნება .....	18
2.1.2. ბრალდებულის საქმიანობა.....	20
2.1.3. ბრალდებულის ოჯახური მდგომარეობა.....	20
2.1.4. ბრალდებულის ქონებრივი მდგომარეობა.....	21
2.1.5. სხვა გარემოებები .....	22
2.2. პატიმრობის, როგორც აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ფორმალური ანუსაპროცესო საფუძველი .....	26
2.3. პატიმრობის გამოყენების ფაქტობრივი ანუ მტკიცებულებითი საფუძველი.	26
2.4. ბრალდებულის მიმალვა, მის მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისთვის ხელის შეშლა .....	27
2.5. ბრალდებულის მიერ მტკიცებულებების განადგურების საფრთხე.....	33
2.6. ბრალდებულის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე.....	35
თავი III. პატიმრობის გამოყენების შესახებ შუამდგომლობის .....	39
მომზადება და განხილვა .....	39
3.1. შუამდგომლობის მომზადება და განხილვა .....	39
3.1. სასამართლო პრაქტიკა და განჩინების დასაბუთებულობა.....	55
დასკვნა .....	64
გამოყენებული ლიტერატურა:.....	66

## შესავალი

აღკვეთის ღონისძიების გამოყენება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და აუცილებელი პირობაა სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პროცესის აღსასრულებლად. აღკვეთის ღონისძიებათა გამოყენების იდეა ემსახურება მიზანს, რომ სისხლის სამართლის მართლმსაჯულება აღსრულდეს სამართლიანად, ობიექტურად, მიუკერძოებლად და სრულფასოვნად, სწორედ ამიტომ აღკვეთის ღონისძიებათა გამოყენება ფაქტობრივად გარანტორია სისხლის სამართლის პროცესის განხორციელებისთვის. სისხლის სამართლის მეცნიერება დაინტერესებულია აღკვეთის ღონისძიების არსის კვლევით და ცდილობს ახსნას აღკვეთის ღონისძიების სახეების გამოყენების სამართლებრივი საფუძვლები, მისი მიზნები და ამოცანები. აღნიშნული თემატიკა ამდენადვე მნიშვნელოვანი და ფუნდამენტურია მართლმსაჯულების განხორციელების პროცესის დროს. აღკვეთის ღონისძიების გამოყენება დღეისთვის აქტუალურ და ხშირად საკამათო თემას წარმოადგენს. სისხლის სამართლის კოდექსის 198-ე მუხლის თანახმად აღკვეთის ღონისძიება გამოიყენება იმ მიზნით, რომ ბრალდებულმა თავი არ არიდოს სასამართლოში გამოცხადებას, აღიკვეთოს მისი დანაშაულებრივი საქმიანობა, უზრუნველყოფილ იქნას განაჩენის აღსრულება. აღკვეთის ღონისძიების სახეებია: პატიმრობა, გირაო, პირადი თავდებობა, სამხედრო მოსამსახურის ქვევისადმი სარდლობის მეთვალყურეობა, შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევების შესახებ. წინამდებარე ნაშრომში განხილული იქნება აღკვეთის ღონისძიების სახედ პატიმრობის გამოყენების სამართლებრივი საფუძვლები. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლი იმპერატიულად განმარტავს, რომ პატიმრობა, როგორც აღკვეთის ღონისძიების გამოიყენება ხდება მხოლოდ მაშინ, თუ ის ერთადერთი საშუალებაა, რათა თავიდან იქნეს აცილებული ბრალდებულის მიერ მიმალვა და ბრალდებულის მიერ მართლმსაჯულების

განხორციელებისთვის ხელის შეშლა, მის მიერ მტკიცებულებების მოპოვებაში ხელის შეშლა და აგრეთვე ბრალდებულის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენა, ზემოაღნიშნული მუხლი ასევე აწესებს კონკრეტულ ვადას- 9 თვეს, რასაც არ უნდა აღემატებოდეს ბრალდებულის პატიმრობის საერთო ვადა. ამავე დროს წინასასამართლო სხდომამდე ბრალდებულის პატიმრობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 60 დღეს, თუკი არ არსებობს მხარის შუალმდგომლობა აღნიშნული ვადის გონივრული ვადით გაგრძელების ან შემცირების შესახებ. აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენება ხდება დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის საფუძველზე და უკიდურეს შემთხვევაში, თუკი სხვა აღკვეთის ღონისძიების სახის გამოყენებით შეუძლებელია მართლმსაჯულების ამოცანების მიღწევა. აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შუამდგომლობისას პროკურორი ვალდებულია, რომ დაასაბუთოს მოთხოვნილი ღონისძიების მიზანშეწონილობა და ამავე დროს დაასაბუთოს სხვა ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების მიზანშეწონილობა, ხოლო სასამართლო ამ შემთხვევაში უფლებამოსილია, რომ შეუფარდოს ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობა თუკი სხვა ნაკლებად მკაცრი ღონისძიება ვერ შეძლებს მართლმსაჯულების შემდგომ სრულფასოვნად და ჯეროვნად განხორციელებას.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია გაანალიზოს და გამოიკვლიოს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების პირობები, მიზნები და საფუძვლები და წარმოაჩინოს ის მნიშვნელოვანი საკითხები რაც უკავშირდება პატიმრობის, როგორც აღკვეთი ღონისძიების სამართლებრივი საფუძვლების გამოყენებას. ასევე ნაშრომში საუბარი იქნება პროკურორის მიერ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობის შესახებ და განხილულ იქნება სასამართლოს გადაწყვეტილებები აღკვეთი ღონისძიების სახედ პატიმრობის გამოყენების თაობაზე. ნაშრომში განხილულ იქნება მისი შინაარსის ანალიზი ნორმატიულ ქრილში. ნაშრომი გამოყენებულ იქნება აღწერილობითი,



შედარებითსამართლებრივი მეთოდოლოგია, ანალიტიკური და სახვა სამეცნიერო მეთოდები. მოხდება სამართლებრივი აქტებისა და სასამართლო პრაქტიკის შესწავლა.

ნაშრომი შედგება შესავალის, დასკვნის, სამი თავის და 13 ქვეთავისგან. ნაშრომის შესავალ ნაწილში საუბარი იქნება აღკვეთის ღონისძიების შესახებ, მეორე თავი ეხება აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ცნებას, მიზნებს და ამოცანებს, ნაშრომის მესამე თავი შეეხება პატიმრობას, როგორც აღკვეთის ღონისძიების სახის სამართლებრივ საფუძველს, მეოთხე თავი შეეხება პატიმრობის გამოყენების შესახებ შუამდგომლობის მომზადებას და განხილვას.

## თავი I. აღკვეთის ღონისძიების სახეები, მათი გამოყენების მიზნები და ამოცანები

აღკვეთი ღონისძიების გამოყენების მიზანს საკონსტიტუციო სასამართლოს შემდეგნაირად განმარტავს, რომ: აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანი არ არის პირის ბრალეულობის მტკიცება. იგი წარმოადგენს მართლმსაჯულების ჯეროვანი განხორციელების ხელშემშლის პრევენციის საშუალებას.<sup>1</sup>

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მიხედვით აღკვეთის ღონისძიება გამოიყენება ხდება შემდეგი მიზნებით, რომ:

- ა) ბრალდებულმა არ აარიდოს თავი სასამართლოში გამოცხადებას,
- ბ) აღიკვეთოს ბრალდებულის შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა,
- გ) უზრუნველყოფილი იქნას განაჩენის აღსრულება.

ბრალდებულს პატიმრობა არ შეიძლება შეეფარდოს, თუ ამ ნაწილით გათვალისწინებული მიზნების მიღწევა შესაძლებელია სხვა, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებით.<sup>2</sup>

აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძველია დასაბუთებული ვარაუდი, რომ ბრალდებული მიიმალება ან არ გამოცხადდება სასამართლოში, გაანადგურებს საქმისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას ან ჩაიდენს ახალ დანაშაულს. აღკვეთის ღონისძიება წარმოადგენს საპროცესო იძულების ღონისძიების სახეს. მისი გამოყენება დაიშვება მხოლოდ ბრალდებულის მიმართ სსსკ-ის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული საფრთხეების პრევენციისთვის.

აღკვეთის ღონისძიების გამოყენების დროს უზამდგომლობის წარდგენისას პროკურორი ვალდებულია, რომ დაასაბუთოს მისი მოთხოვნილი აღკვეთის

<sup>1</sup>ავტ. კოლ., საქართველოს სისხლის სამართლის პროცესის კომენტარები, თბ., 2015, გვ. 558;

<sup>2</sup>საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, თბ., 2009, გვ. 159.

ლონისძიების მიზანშეწონილობა და ასევე დაასაბუთოს სხვა, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზან შეუწონლობა.

აღკვეთის ღონისძიების გამოყენება დასაშვებია სისხლის სამართალწარმოების ნებისმიერ ეტაპზე. გამონაკლისია მხოლოდ და მხოლოდ - გამოძიების ეტაპი სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყებამდე და განაჩენის აღსრულება.

სასამართლო უფლებამოსილია ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდოს მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მიზნების მიღწევა შეუძლებელი იქნება თუკი სასამართლო გამოიყენებს სხვა, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიებას.

თუკი არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირმა ჩაიდინა დანაშაულებრივი ქმედება და ამავე დროს, დადგინდა დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის გარემოებები, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს რომ შეფასდეს ბრალდებულის, მისი მხრიდან მართლმსაჯულების განხორციელებისთვის ხელის შეშლის მიზნით მართლსაწინააღმდეგო ქმედებების განხორციელების დასაბუთებული პროგნოზირება ყოველივე ზემოაღნიშნული ქმნის საფუძველს აღკვეთის ღონისძიების გამოყენება დასაშვებობის.

აღკვეთის ღონისძიებისა სგრეთვე აღკვეთი ღონისძიების რომელიმე კონკრეტული სახის გამოყენების საკითხის გადაწყვეტის დროს სასამართლო ითვალისწინებს ბრალდებულის პიროვნებას, ბრალდებულის საქმიანობას, მის ასაკს, ჯანმრთელობას, ოჯახურ და ქონებრივ მდგომარეობას, მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურების სურვილს, ადრე შეფარდებული რომელიმე აღკვეთის ღონისძიების დარღვევის ფაქტის არსებობას და სხვა გარემოებებს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 198-ემუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მართლმსაჯულების განხორციელებისათვის საფრთხის შემცველი თითოეული მიზნის აბსტრაქტული გამოყენება

აღკვეთის ღონისძიების დასაბუთებისათვის დაუშვებელია და იგი უნდა ემყარებოდეს კონკრეტულ ფაქტობრივ საფუძველს. აღნიშნული საფუძველი არ შეიძლება იყოს „ზოგადი და აბსტრაქტული“. ბრალდების სიმძიმე და მიმალვის, ახალი დანაშაულის ჩადენის ან შეთქმულების ჰიპოთეტური საშიშროება არ შეესაბამება კონვენციის მოთხოვნებს.

აღკვეთის ღონისძიების, განსაკუთრებით კი პატიმრობის გამოყენება ემყარება დასაბუთებულ ვარაუდს მაშინ, თუ იგი დაფუძნებულია იმგვარ გარემოებასა და ინფორმაციაზე, რომელიც პირს ობიექტურად აკავშირებს შესაძლო დანაშაულის ჩადენის ფაქტთან. ამისათვის კი უნდა არსებობდეს მტკიცებულებები, რომლებიც ამხელს პირს ასეთი ქმედების ჩადენაში ან სხვა მტკიცებულებების ერთობლიობა, რომელთაც მსგავს შედეგამდე მივყავართ. შესაბამისად, აღკვეთის ღონისძიების გამოყენება არ უნდა ემყარებოდეს გრძნობებს, ინსტინქტებს, წინასწარ ჩამოყალიბებულ შეხედულებებსა თუ არსებულ ურთიერთობებს (ეთნიკური, რელიგიური, პოლიტიკური და სხვა)<sup>3</sup>.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლის თანახმად აღკვეთი ღონისძიების სახეებია: პატიმრობა, გირაო, შეთანხმება გაუსვლელიობისა და სათანადო ქცევის შესახებ და სამხედრო მოსამსახურის ქცევისადმი სარდლობის მეთვალყურეობა; თუმცა აღნიშნული არ გამორიცხავს, რომ აღკვეთის ღონისძიებასთან ერთად ბრალდებულის მიმართ გამოყენებულ იქნეს შემდეგი ვალდებულება, რომ კონკრეტულ დროს ან გამოძახებისთანავე გამოცხადდეს სასამართლოში; აკრძალოს გარკვეული საქმიანობა ან პროფესიის განხორციელება; სასამართლოში, პოლიციაში ან სხვა სახელმწიფო ორგანოებში გარკვეული პერიოდულობით გამოცხადებისა და ანგარიშგების ვალდებულება; პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტის ჩაბარების ვალდებულება; ასევე განესაზღვროს სასამართლოს მიერ დანიშნული უწყების ზედამხედველობა; ელექტრონული მონიტორინგი; ვალდებულება გარკვეულ ადგილას

---

<sup>3</sup>ავტ. კოლ., საქართველოს სისხლის სამართლის პროცესის კომენტარები, თბ., 2015, გვ. 558-559.

ყოფნისა გარკვეულ საათებში ან უამისოდ; აეკრძალოს კონკრეტული ადგილის დაუტოვებლობა ანდა მასში შეღწევა; სპეციალური ნებართვის გარეშე პირებთან შეხვედრის აკრძალვა; სასამართლოს მიერ განსაზღვრული ნებისმიერი სხვა ღონისძიება, რომელიც ხელს შეუწყობს და აუცილებელია აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზნების მისაღწევად, მათ შორის, გარკვეულ ადგილზე შესვლისა და დაზარალებულთან მიახლოების აკრძალვა, <sup>5</sup> თუკი პირის მიმართ დევნა დაწყებულია ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის ან ოჯახური დანაშაულის ბრალდებით.

სსსკ-ი ითვალისწინებს აღკვეთის ღონისძიების ორ სახეს: 1) ძირითადი აღკვეთის ღონისძიებები და 2) დამატებითი ღონისძიებები. პირველ ნაწილში მოცემულია ძირითადი აღკვეთის ღონისძიებების სახეები, რომელთა ჩამონათვალი ამომწურავია. პროცესის მწარმოებელ პირს უფლება არ აქვს ერთდროულად გამოიყენოს ანდა მოითხოვოს ერთზე მეტი ძირითადი აღკვეთის ღონისძიების გამოყენება - მაგალითად, მართლმსაჯულების განხორციელებისათვის საფრთხეების თავიდან აცილების მიზნით პროკურორს არ შეუძლია პატიმრობის ალტერნატივის სახით საფრთხეების ნეიტრალიზაციისათვის ერთდროულად გამოიყენოს გირაო და სახედრო მოსამსახურის ქცევისადმი სარდლობის მეთვალყურეობა, მაგრამ შეუძლია ამოირჩიოს საკუთარი შეხედულებისამებრ ერთ-ერთი მათგანი და დამატებით მოითხოვოს მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ერთი ან რამდენიმე ღონისძიების გამოყენება.

მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დამატებითი ღონისძიებების ჩამონათვალი სანიმუშოა და პროცესის მწარმოებელ პირს აძლევს შესაძლებლობას ისეთი ღონისძიების განხორციელების, რომელიც ყველაზე უკეთ უზრუნველყოფს მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელისშემშლის პრევენციის მიზანს. ასევე, პროკურორი და სასამართლო არ არის შეზღუდული ერთდროულად რამდენიმე/განუსაზღვრელი

რაოდენობის ღონისძიების გამოყენებაში. მაგალითად, პროცესის მწარმოებელ პირს უფლება აქვს ერთდროულად მოითხოვოს/გამოიყენოს გირაო, ელექტრონული მონიტორინგი, განსაზღვრულ დროის მონაკვეთში გარკვეულ ადგილას ყოფნის ვალდებულებით და გარკვეულ ადგილზე შესვლის აკრძალვით. აღნიშნული მიზნად ისახავს, პატიმრობის გამოყენების შემთხვევების მინიმუმამდე შემცირებას და მის გამოყენებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პრევენციული მიზნების მიღწევის ერთადერთ უალტერნატივო საშუალებას პატიმრობა წარმოადგენს. მაგრამ მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ღონისძიების გამოყენება დაიშვება მხოლოდ სსსკ-ის 198-ე მუხლის პირველ ნაწილში მითითებულ ძირითად ღონისძიებასთან ერთად.<sup>4</sup>

## **თავი II. პატიმრობის, როგორც აღკვეთი ღონისძიების სამართლებრივი საფუძვლები**

**პატიმრობა-** სსსკ-ის 205-ე მუხლით გათვალისწინებული პატიმრობა არ წარმოადგენს პასუხისმგებლობის ზომას და არ ატარებს სადამსჯელო ხასიათს. პატიმრობის გამოყენება წარმოადგენს პრევენციულ ღონისძიებას.<sup>5</sup> პატიმრობა, როგორც აღკვეთის ღონისძიება, გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუკი ის არის ერთადერთი საშუალება არის რადგან თავიდან იქნეს აცილებული:

- ა) ბრალდებულის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენა.
- ბ) მის მიერ მტკიცებულებათა მოპოვებისათვის ხელისშეშლა;
- გ) ბრალდებულის მიმალვა და ბრალდებულის მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლა;

---

<sup>4</sup>ავტ. კოლ., საქართველოს სისხლის სამართლის პროცესის კომენტარები, თბ., 2015, გვ. 570-571.

<sup>5</sup>ავტ. კოლ., საქართველოს სისხლის სამართლის პროცესის კომენტარები, თბ., 2015, გვ. 590.

ძალიან მნიშვნელოვანია შემდეგი გარემოება ბრალდებულის პატიმრობის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს. ამ ვადის გასვლის შემდეგ ბრალდებული უნდა გათავისუფლდეს პატიმრობიდან.

ყურადღება უნდა გამახვილდეს შემდეგზე, რომ ბრალდებულის პატიმრობის ვადა აითვლება მისი დაკავების მომენტიდან და თუ დაკავება არ მოხდარა - აღნიშნული აღკვეთი ღონისძიების შერჩევის შესახებ სასამართლოს განჩინების აღსრულების მომენტიდან უშუალოდ საქმის არსებითად განმხილველი პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანამდე.

წინა სასამართლო სხდომამდე ბრალდებულის პატიმრობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს მისი დაკავებიდან 60 დღეს. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ ბრალდებული სავალდებულოა, რომ გათავისუფლდეს პატიმრობიდან, თუკი არ არსებობს ამ კოდექსის 208-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა.

ბრალდებულებს რომლებიც ერთსა და იმავე სისხლის სამართლის საქმეზე არიან ბრალდებულები მათ ცალ-ცალკე ათავსებენ და ამის შესახებ საგამომიებო იზოლატორის ადმინისტრაცია ვალდებულია მიიღოს შესაბამისი ზომები მათი ერთმანეთთან ურთიერთობის დაუშვებლობის უზრუნველსაყოფად. საჭიროების შემთხვევაში გამომიებლის, პროკურორის ან სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს წესი შეიძლება გავრცელდეს სხვა ბრალდებულებზედაც.

მსჯავრდებული რომელიც არის მოწმე, დაზარალებული ან ბრალდებული სხვა საქმეში შეიძლება პენიტენციური დაწესებულებიდან გადაიყვანონ საგამომიებო იზოლატორში ან დატოვონ საგამომიებო იზოლატორში განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგაც.

„იმ შემთხვევაში, როდესაც სასამართლო ტერიტორიულად დაშორებულია პატიმრობის ან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებისაგან და ბადრაგირების განხორციელება გართულებულია, სასამართლოს განჩინებით შესაძლებელია ბრალდებული საქმის განხილვისას დროებით

მოთავსდეს პატიმრობის ან თავისუფლები საღკვეთის უახლოეს დაწესებულებაში ან დროებითი დაკავების იზოლატორში, სადაც მასზე ზედამხედველობას განახორციელებს საქართველოს სასჯელ აღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო.“<sup>6</sup>

პატიმრობა წარმოადგენს ყველაზე მკაცრ აღკვეთის ღონისძიებას და გულისხმობს სასამართლოს განჩინებით განსაზღვრული ვადით ბრალდებულის მკაცრ იზოლაციას გარე სამყაროსგან. შესაბამისად, პატიმრობის გამოყენებით იზღუდება ბრალდებულის სხვა უფლებებიც, რომელთა რეალიზაცია ობიექტურად შეუძლებელია თავისუფლების შეზღუდვის ადგილას, მაგალითად, მიმოსვლის თავისუფლება, დასაქმების უფლება და სხვა უფლებები, პირის კავშირი გარე სამყაროსთან და სხვა.

ამასთან, ზოგიერთი შეზღუდვა, რომელიც ადამიანის პატივის და ღირსების უფლების შემლახავი იქნებოდა, საპატიმრო ცხოვრების თანმდევი შედეგია.

პატიმრობის გამოყენება უარყოფითი შედეგების მატარებელია საზოგადოებისათვის, რადგანაც ის უკავშირდება საბიუჯეტო ხარჯებს (აღნიშნული თანხების დანაშაულის პრევენციის და რესოციალიზაციის პროგრამების დაფინანსებისთვის გამოყენების ნაცვლად), დესოციალიზაციის ეფექტის მატარებელია თავად იმ ბრალდებულების ოჯახებისთვის, ქმნის ინფექციური დაავადებების გავრცელების საფრთხეებს და სათანადო კონტროლის არარსებობის პირობებში კი კორუფციის საფრთხეს და სხვა.

„საქმეზე *Barker v Wingo*, აშშ უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა, რომ თავისუფლების შეზღუდვის ადგილას გატარებული დროდაკარგული დროა. სასამართლო განხილვის მოლოდინში საპატიმროში გატარებული დრო უარყოფით გავლენას ახდენს ბრალდებულზე, ვინაიდან პატიმრობა უკავშირდება სამუშაოს და კარგვას, ბრალდებულის მოწყვეტას ოჯახისგან, ხელს უწყობს სიზარმაცის გაღრმავებას, ზღუდავს ბრალდებულის

---

<sup>6</sup>საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, თბ., 2014, გვ. 164-165.



შესაძლებლობას ეფექტიან დაცვაზე, ამცირებს გამამართლებელი მტკიცებულებების მოპოვების და დაცვის განხორციელებისათვის მომზადების შესაძლებლობას.“<sup>7</sup>

პრაქტიკოს იურისტთა, განსაკუთრებით კი საგამომიებო სფეროში დასაქმებულ პირთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ დაპატიმრებას, სხვა აღკვეთის ღონისძიებებისაგან განსხვავებით, გაცილებით უფრო ეფექტურად შეუძლია სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის წინაშე მდგარი მიზნებისა და ამოცანების გადაწყვეტა.

საზოგადოების ნაწილი კი არ ეთანხმება და მიიჩნევს, რომ პატიმრობა ბუნებითი სამართლის ისეთი სიკეთეს ხელყოფად როგორებიცაა: შრომის უფბა, დასვენების, განათლების, საცხოვრებელი ადგილისა და ადამიანთა სასურველი გარემოცვის თავისუფლად არჩევის უფლებები. „მაგალითად, დიდი რუსი მწერალი თ.დოსტოევსკი, რომელმაც საკუთარ თავზე იწვნია ხანგრძლივი დროის მანძილზე პატიმრობაში ყოფნის სიმწარე, ყველაზე მტკივნეულად აღიქვამდა იმ გარემოებას, რომ მთელი ამ ხნის მანძილზე იძულებით თანაცხოვრება მოუხდა აბსოლუტურად განსხვავებული ასაკის, განათლების, ინტელექტისა და რელიგიური მრწამსის ადამიანებთან, რაც ყოვეთვის თან ახლავს პირის საზოგადოებისაგან იზოლაციას.“<sup>8</sup>

კანონმდებლობა კი პატიმრობის გამოყენების მიიჩნევს ჭეშმარიტი საჯარო ინტერესის არსებობას, რომელიც დასტურდება კონკრეტული, სარწმუნო და საკმარისი მტკიცებულებებით, რომლებიც ქმნიან დასაბუთებულ ვარაუდს და უდანაშაულობის პრეზუმფციის მიუხედავად, გადაწონის პიროვნების თავისუფლების მოთხოვნას. „გამომიების საჭიროება ან მოთხოვნები არ წარმოადგენს თავისუფლების შეზღუდვის რელევანტურ საფუძველს. პრეზუმფცია ყოველთვის ფუნდამენტურ უფლებებში ჩარევის

---

<sup>7</sup>ავტ. კოლ., საქართველოს სისხლის სამართლის პროცესის კომენტარები, თბ., 2015, გვ. 590.

<sup>8</sup> ვ.ბენიძე, დაპატიმრებისა და შინაპატიმრობის აღკვეთის ღონისძიებად გამოყენების პრობლემები, თბ., 2003, გვ.35-36;

საწინააღმდეგოდ არსებობს. ამიტომ საჭიროა იმის დასაბუთება თუ რატომ არის აუცილებელი პატიმრობის გამოყენება.“<sup>9</sup>

საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად :

ადამიანის თავისუფლება დაცულია.

„ თავისუფლების აღკვეთის ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის შეფარდება დასაშვებია ხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით .

ადამიანის დაკავება დასაშვებია კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში კანონით უფლებამოსილი პირის მიერ.“<sup>10</sup>

საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის მე-3 ნაწილი ადგენს რომ ადამიანის დაკავება დასაშვებია კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში და კანონით უფლებამოსილი პირის მიერ, მაგრამ არ ადგენს დაკავების საფუძვლებს ხოლო ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციის მე-5 მუხლის შესაბამისად „ყველას აქვს თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება. არავის შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება, გარდა შემდეგი შემთხვევებისა და კანონით განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად.“<sup>11</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია აკეთებს თავისუფლების აღკვეთის საფუძვლების ჩამონათვალს, ხოლო საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსსა და სხვა კანონებში დაკავებისა თუ დაპატიმრების საფუძვლები აუცილებლად უნდა შეესაბამებოდეს კონვენციის მოთხოვნებსა და საფუძვლებს, რათა ის წინააღმდეგობაში არ მოვიდეს საქართველოს კონსტიტუციასთან.

„ თითოეულ ადამიანს აქვს თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება. არავინ არ უნდა დაექვემდებაროს თვითნებურ დაკავებას ან დაპატიმრებას. არავის არ უნდა აღეკვეთოს თავისუფლება, გარდა კანონით გათვალისწინებული საფუძვლისა და პროცედურისა.“<sup>12</sup>

---

<sup>9</sup>ავტ. კოლ., საქართველოს სისხლის სამართლის პროცესის კომენტარები, თბ., 2015, გვ. 590;

<sup>10</sup>საქართველოს კონსტიტუცია, 1995, მე-13 მუხ. მე-3 ნაწ.

<sup>11</sup>ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის, მე-5 მუხ. 1-ლი ნაწილი. გვ.7;

<sup>12</sup>სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტი, მე-9 მუხ. 1-ლი ნაწ.

პირისთვის თავისუფლების აღკვეთა და პატიმრობა არცერთ შემთხვევაში არ შეესაბამება კონვენციას, თუკი ის არის უკანონო. „სასამართლო მუდმივად იყენებს ერთსა და იმავე სტანდარტულ ფორმულირებას: სასამართლო იხსენებს, რომ გამონათქვამები „კანონიერი“ და „კანონით განსაზღვრული წესის შესაბამისად“ უბრუნდება შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობას და ადგენს მატერიალური და საპროცესო ნორმების დაცვის ვალდებულებას. თუმცა დაპატიმრების „კანონიერება“ შიდასახელმწიფოებრივი კანონის საფუძველზე ყოველთვის არ არის გადამწყვეტი ელემენტი.

სასამართლო დამატებით უნდა დარწმუნდეს, რომ თავისუფლების აღკვეთა შეესაბამებოდა მე-5 მუხლის მიზნებს, რაც გულისხმობს ადამიანების დაცვას თვითნებური თავისუფლების აღკვეთისგან.“<sup>13</sup>

ამისი კარგი მაგალითია ერთ-ერთი საქმე, რომელიც შეეხება კონსტიტუციით რეგულირებული პატიმრობის ვადის დარღვევას, სადაც მოსარჩელე გიორგი უგულავა ასაჩივრებდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლის მე-2 ნაწილის ნორმატიულ შინაარსს, რომელიც უშვებდა პატიმრობის 9 თვიანი ვადის გამოყენების შესაძლებლობას თითოეულ სისხლის სამართლის საქმეზე, როდესაც ეს საქმეები უკავშირდებოდა ბრალდებებს პატიმრობის გამოყენებამდე ჩადენილ დანაშაულებში კონსტიტუციის მე-18 მუხლის („თავისუფლების უფლება“) პირველ და მე-6 პუნქტებთან მიმართებაში.

ზემოაღნიშნულზე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ პირველ რიგში განმარტა საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის მე-6 პუნქტები, რომლის მიხედვითაც, ბრალდებულის წინასწარი პატიმრობის ვადა არცერთ შემთხვევაში არ უნდა აღემატებოდეს 9 თვეს. საკონსტიტუციო სასამართლოს წინა გადაწყვეტილებისგან (2003 წლის 29 იანვრის N2/3/182,185,191 გადაწყვეტილება) განსხვავებით, სასამართლომ ამ შემთხვევაში მიიჩნია, რომ 9 თვიანი გარანტია არ წყვეტს მოქმედებას

---

<sup>13</sup>მ.ტრექსელი, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2009, გვ. 447.

ბრალდებულის საქმის სასამართლოში გადაგზავნის მომენტში. პატიმრობის გამოყენების მიზნები (მართლმსაჯულების აღსრულება, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება) უცვლელია მთელი სისხლის სამართლებრივი დევნის მანძილზე, სასამართლო განაჩენის საფუძველზე ბრალდებულის დამნაშავედ ან უდანაშაულოდ ცნობამდე. მე-18 მუხლის მე-6 პუნქტი ბრალდებულს იცავს განუსაზღვრელი ვადით წინასწარ პატიმრობაში ყოფნისგან, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს არამხოლოდ ბრალდების მხარის თვითნებობით, არამედ აგრეთვე სასამართლო განხილვის ეტაპზე საქმის გაჭიანურებით ან შეცდომით. სასამართლომ განმარტა, რომ კონსტიტუციის მიზნებისთვის, “ნებისმიერი პირი, რომლის მიმართაც სისხლის სამართლებრივი დევნა ხორციელდება, დამნაშავედ ცნობამდე” წარმოადგენს ბრალდებულს; “წინასწარი პატიმრობა” კი არის ავტონომიური (ქვემდგომი კანონმდებლობისგან დამოუკიდებელი შინაარსის მქონე) კონსტიტუციური ტერმინი, რომელიც მოიცავს ბრალდებულის თავისუფლების დროებით შეზღუდვას მაქსიმუმ 9 თვის ვადით. ამასთან, სახელმწიფოს არ შეუძლია ამ კონსტიტუციური ვადის გადალახვა მაშინაც კი, როდესაც პატიმრობა ემსახურება ლეგიტიმურ მიზნებს – თუ ამ ვადაში ვერ მიიღებს სასამართლო პირის ბრალეულობის შესახებ გადაწყვეტილებას, ის უნდა გათავისუფლდეს პატიმრობიდან. კონსტიტუციის მე-18 მუხლის მიზანია, აიძულოს სახელმწიფო, დროულად დადგეს სასამართლო განაჩენი, როდესაც პირი პატიმრობაშია და ამისთვის 9-თვიან ვადას საკმარისად მიიჩნევს. როდესაც პირს წაყენებული აქვს რამდენიმე ბრალდება, თუნდაც მხოლოდ ერთი ბრალდების საფუძველზე შეეფარდოს მას პატიმრობა, ამ აღკვეთის ღონისძიების მიზნები თანაბრად მიიღწევა ყველა ბრალდების საქმეზე. “ერთდროულად წარდგენილი რამდენიმე ბრალდების პირობებში ყოველ კონკრეტულ საქმეზე წინასწარი პატიმრობის ზღვრული ვადის განსაზღვრისას ბრალდებულ პირს უნდა ჩაეთვალოს ის პერიოდი, რომელიც მან ბრალის წარდგენის შემდეგ, თუნდაც სხვა სისხლის სამართლის საქმეზე გაატარა წინასწარ

პატიმრობაში”. შესაბამისად, არაკონსტიტუციურია სისხლის სამართლის საქმეში პატიმრობის გამოყენება პირის მიმართ იმ მომენტიდან, როდესაც ამ საქმეზე ბრალის წაყენების შემდეგ მის მიერ წინასწარ პატიმრობაში გატარებული ვადა (ნებისმიერ სისხლის სამართლის საქმეზე) გაუტოლდება 9 თვეს. სასამართლომ აღნიშნა, რომ აღნიშნული კონსტიტუციური მოთხოვნა არ გამორიცხავს პატიმრობის მოთხოვნას იმ და ნაშაულის საქმეზე, რომელიც პირმა მისთვის პატიმრობის შეფარდების შემდეგ ჩაიდინა ან პატიმრობის შეფარდებამდე ჩაიდინა, თუმცა ბრალის წაყენების საფუძველი ცნობილი გახდა მხოლოდ პატიმრობის შეფარდების შემდეგ. ამასთან, კონსტიტუციური მოთხოვნა გამორიცხავს პატიმრობის ვადის გასაგრძელებლად საქმეების ხელოვნურ დანაწევრებას ან ბრალის წაყენების გაჭიანურებას, როცა ახალი სისხლისსამართლებრივი დევნის საფუძველი (შესაბამისი ფაქტები, ინფორმაცია) უკვე ცნობილი იყო გამოძიებისთვის და საკმარისი იყო ბრალის წარსადგენად. სასამართლომ ჩათვალა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლის მე-2 ნაწილი არ გამორიცხავდა აღნიშნულ მანიპულაციებს 9-თვიანი ზღვრული ვადის გასაგრძელებლად და უშვებდა ბრალდებულის პატიმრობაში ყოფნას ერთი სისხლის სამართლის საქმეზე იმ პირობებში, როდესაც ამ საქმეზე პირისთვის ბრალდების წარსადგენად საკმარისი საფუძვლის გამოვლენის შემდეგ მას პატიმრობაში უკვე ჰქონდა გატარებული 9 თვე. შესაბამისად, 205-ე მუხლის მე-2 ნაწილის აღნიშნული ნორმატიული შინაარსი კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველ და მე-6 პუნქტებთან შეუსაბამოდ ჩაითვალა.<sup>14</sup>

„სასამართლომ ასევე უნდა განსაზღვროს, თვით შიდასახელმწიფოებრივი კანონი შეესაბამება თუ არა კონვენციას, მათ შორის, მასში გამოხატულ და ნაგულისხმებ ზოგად პრინციპებს.“<sup>15</sup>

<sup>14</sup>საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე N3/2/646, 2015 წლის 15 სექტემბერი;

<sup>15</sup>მ.ტრეჟსელი, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2009, გვ. 447;

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი მუხლი ადგენს, რომ სახელმწიფოებმა უნდა “უზრუნველყონ“ კონვენციით გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა. აღნიშნული მუხლი სახელმწიფოს აკისრებს არა მხოლოდ ნეგატიურ, არამედ პოზიტიურ ვალდებულებასაც. რაც იმას ნიშნავს, რომ კონვენციითა და შესაბამისი ოქმებით სახელმწიფოს ევალება თავი შეიკავოს აქტიურ ჩარევაზე უფლებებისა და თავისუფლებების გარკვეულ სფეროში, მაგრამ უზრუნველყოს მათი დაცვა, სახელმწიფო ვალდებულია იზრუნოს ადამიანის დარღვეული უფლებების აღდგენისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში დგება თვით სახელმწიფოს პასუხისგებლობის საკითხი, რომელმაც ვერ უზრუნველყო კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დაცვა. ამის მაგალითები მრავლად არსებობს.<sup>16</sup>

პატიმრობის გამოყენების წინაპირობად კანონმდებლობა მიიჩნევს ჭეშმარიტი საჯარო ინტერესის არსებობას, რომელიც სავალდებულოა რომ დადასტურდეს კონკრეტული, სარწმუნო და საკმარისი მტკიცებულებით, რომლებიც შექმნის დასაბუთებულ ვარაუდს და უდანაშაულობის პრეზუმფციის მიუხედავად, გადასწონის თვით ამ პიროვნების თავისუფლების მოთხოვნას. თავად გამოძიების საჭიროება ანდა მისი მოთხოვნები არ წარმოადგენს თავისუფლების შეზღუდვის რელევანტურ საფუძველს. „პრეზუმფცია ყოველთვის ფუნდამენტურ უფლებებში ჩარევის საწინააღმდეგოდ არ სეზობს. ამიტომ საჭიროა იმის დასაბუთება თუ რატომ არის აუცილებელი პატიმრობის გამოყენება.“<sup>17</sup>

**2.1. პატიმრობა და მისი შერჩევითი გასათვალისწინებელი გარემოებები** აღკვეთის ღონისძიებისა და მისი კონკრეტული სახის გამოყენების საკითხის გადაწყვეტისას სასამართლო ითვალისწინებს „ბრალდებულის პიროვნებას, მის საქმიანობას, ასაკს, ჯანმრთელობას, ოჯახურ და ქონებრივ მდგომარეობას, მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურებას, ადრე

<sup>16</sup>გ. ლობჯანიძე, ადამიანის უფლებათა სამართალი, თბ., 2005, გვ. 31.

<sup>17</sup>ავტ. კოლ., საქართველოს სისხლის სამართლის პროცესის კომენტარები, თბ., 2015, გვ.590;

შეფარდებული რომელიმე აღკვეთის ღონისძიების დარღვევის ფაქტს და სხვა გარემოებებს.“<sup>18</sup>

აღკვეთის ღონისძიების შეფარდების განხილვისას სასამართლოს მიერ გასათვალისწინებელ საკითხთა ჩამონათვალი სანიმუშოა და სასამართლო საქმის ინდივიდუალური თავისებურებიდან გამომდინარე უფლებამოსილია გაითვალისწინოს სხვა გარემოებებიც ორივე მიმართულებით (გარემოებები, რომლებიც მიუთითებენ მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიების შეფარდებას, ასევე მიუთითებენ უფრო ამასთან, კონსტიტუციური მოთხოვნა გამორიცხავს პატიმრობის ვადის გასაგრძელებლად საქმეების ხელოვნურ დანაწევრებას ან ბრალის წაყენების გაჭიანურებას, როცა ახალი სისხლისსამართლებრივი დევნის საფუძველი (შესაბამისი ფაქტები, ინფორმაცია) უკვე ცნობილი იყო გამოძიებისთვის და საკმარისი იყო ბრალის წარსადგენად. სასამართლომ ჩათვალა, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 205-ე მუხლის მე-2 ნაწილი არ გამორიცხავდა აღნიშნულ მანიპულაციებს 9-თვიანი ზღვრული ვადის გასაგრძელებლად დაუშვებდა ბრალდებულის პატიმრობაში ყოფნას ერთი სისხლის სამართლის საქმეზე იმ პირობებში, როდესაც აღნიშნულ საქმეზე პირისთვის ბრალდების წარსადგენად შესაბამისი და საკმარისი საფუძვლის გამოვლენის შემდეგ მას პატიმრობაში გატარებული ჰქონდა 9 თვე. შესაბამისად, 205-ე მუხლის მე-2 ნაწილის აღნიშნული ნორმატიული შინაარსი კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველ და მე-6 პუნქტებთან შეუსაბამოდ ჩაითვალა.<sup>19</sup>

„სასამართლომ ასევე უნდა განსაზღვროს, თვით შიდა სახელმწიფოებრივი კანონი შეესაბამება თუ არა კონვენციას, მათ შორის, მასში გამოხატულ და ნაგულისხმებ ზოგად პრინციპებს.“<sup>20</sup>

---

<sup>18</sup>საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 198-ე მუხ. მე-5 ნაწ.,თბ., 2017, გვ. 159.

<sup>19</sup>საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება,საქმეN3/2/646, 2015 წლის 15 სექტემბერი;

<sup>20</sup>მ.ტრექსელი, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2009, გვ. 447;

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი მუხლი ადგენს, რომ სახელმწიფოებმა უნდა “უზრუნველყონ“ კონვენციით გათვალისწინებული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა. აღნიშნული მუხლი სახელმწიფოს აკისრებს არა მხოლოდ ნეგატიურ, არამედ პოზიტიურ ვალდებულებასაც. რაც იმას ნიშნავს, რომ კონვენციითა და შესაბამისი ოქმებით სახელმწიფოს ევალება თავი შეიკავოს აქტიურ ჩარევაზე უფლებებისა და თავისუფლებების გარკვეულ სფეროში, მაგრამ უზრუნველყოს მათი დაცვა, სახელმწიფო ვალდებულია ზრუნოს ადამიანის დარღვეული უფლებების აღდგენისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში დგება თვით სახელმწიფოს პასუხისგებლობის საკითხი, რომელმაც ვერ უზრუნველყო კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დაცვა. ამის მაგალითები მრავლად არსებობს.<sup>21</sup>

შესაბამისად პატიმრობის გამოყენების აუცილებელ წინაპირობად კანონმდებლობა ერთმნიშვნელოვნად მიიჩნევს ჭეშმარიტი საჯარო ინტერესის არსებობას, რომელიც დასტურდება კონკრეტული, სარწმუნო და საკმარისი მტკიცებულებებით „რომლებიც ქმნიან დასაბუთებულ ვარაუდს და უდანაშაულობის პრეზუმფციის მიუხედავად, გადასწონის პიროვნების თავისუფლების მოთხოვნას. გამოძიების საჭიროება ან მოთხოვნები არ წარმოადგენს თავისუფლების შეზღუდვის რელევანტურ საფუძველს. პრეზუმფცია ყოველთვის ფუნდამენტურ უფლებებში ჩარევის საწინააღმდეგოდ არსებობს. ამიტომ საჭიროა იმის დასაბუთება თუ რატომ არის აუცილებელი პატიმრობის გამოყენება.“<sup>22</sup>

### **2.1.1. ბრალდებულის პიროვნება**

ექვგარეშეა, რომ ბრალდებულის პიროვნებას, ძალიან დიდი, პირველ ხარისხოვანი, ხშირად კი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ალკვეთის ღონისძიების სახის განსაზღვრისათვის კერძოდ კი ალკვეთის ღონისძიების სახედ: პატიმრობის შერჩევის საკითხის გადასაწყვეტად.

<sup>21</sup>გ.ლობჯანიძე, ადამიანის უფლებათა სამართალი, თბ., 2005, გვ. 31.

<sup>22</sup>ავტ. კოლ., საქართველოსსისხლისსამართლისპროცესისკომენტარები, თბ., 2015, გვ.590;



პრაქტიკაში ითვალისწინებენ ბრალდებულის წარსულს, ესეიგი მის ადრინდელ ნასამართლეობას, რომელიც მოხსნილი ან გაქარწყლებული არ არის (ან და არ იყო იმ დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის, რომელს გამოცხდება აღკვეთის ღონისძიების შერჩვა). აქვე აღსანიშნავია და ყურადსადება არა მარტო ნასამართლეობის „მშრალი“ ფაქტის არსებობა, არამედ იმას, თუ რამდენჯერ იქნა ბრალდებული ადრე გასამართლებული, რა დანაშაულებისათვის, რა ასაკში, მისჯილი ჰქონდა თუ არა თავისუფლების აღკვეთა, იყო თუ არა მის მიმართ გამოყენებული სხვადასხვა შეღავათები, პირობითი მსჯავრის გამოყენებით ხომ არ გამოიჩინეს მის მიმართ ჰუმანურობა, გაამართლა თუ არა ის, რამდენად (რა ნაწილით) მოიხადა, როდისდა რის საფუძველზე გათავისუფლდა, ამასთან, იყო თუ არა მის მიმართ გამოყენებული შეწყალება ან ამინისტია, ვადამდე გათავისუფლება, სასჯელის შემცირება რეჟიმისშეცვლა და სხვადასხვა შეღავათები, რამდენად გაამართლა ისინი ბრალდებულმა და ა.შ. ადმინისტრაციული და სხვა „მსუბუქი“ სამართალდარღვევები, როგორც წესი, არ აღირიცხება იმგვარი სახით, რომ მათზე მონაცემები სისხლის სამართლის საქმეში ჯეროვნად აისახოს, მაგრამ, თუკი ამგვარი ფაქტის თაობაზე მონაცემი საქმეში მაინც დაფიქსირდა, მაშინ ეს შეიძლება გამოდგეს („ნაკლები ხარისხით“) ბრალდებულის პიროვნების დასახასიათებლად და მის შესაფასებლად. მაგალითად ნარკოტიკული საშუალების უკანონო მოხმარების გამო ბრალდებულისათვის ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების შესახებ, ასევე შესაბამისი დოკუმენტი ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევის დანაშაულის საქმეებზე - ბრალდებულის მიერ ამ შემთხვევამდე ჩადენილი ამავე სახის ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის სახდელის დაკისრების თაობაზე( აქ იგულისხმება სახდელი, რომელიც „ძალაშია“ და ხანდაზმულობის ვადა არ გასვლია). ბრალდებულს, გარდა ნასამართლეობისა, ნეგატიურად თუ პოზიტიურად შეიძლება ახასიათებდეს მისი წარსულის სხვა მომენტებიც:

„მონაცემები ოჯახისადმი, სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი მოვალეობებისადმი, სწავლისა და შრომისადმი დამოიდებულების შესახებ, მიღებული ჯილდოები, სამსახურეობრივი წახალისებები თუ დისწიპლინური ზემოქმედების ზომები, სამსახურეობრივი, კორპორაციული თუ სხვაგვარი დახასიათებები, შუამდგომლობები და ა.შ.“

23

### **2.1.2. ბრალდებულის საქმიანობა**

ბრალდებულის საქმიანობის თაობაზე მონაცემები და ინფორმაცია თავისებურად და მეტად მნიშვნელოვანად „ავსებს“ მისი პიროვნების მახასიათებლებს, რადგან წარსული მნიშვნელოვანია თუმცა - უფრო მნიშვნელოვანი ისაა, რომ კონკრეტულად რას საქმიანობს და როგორ ცხოვრებას ეწევა ბრალდებული ამჟამად, ამ ეტაპზე: მუშაობს ანდა სწავლობს თუ დაოჯახებულია, ოჯახს აძლევს თუ არა ლეგალური საქმიანობისგან მიღებული შემოსავალი საარსებო მინიმუმს თუ უკეთ, ანდა კარგად ცხოვრების საშუალებას და მრავალი სხვა. „ გარდა ამისა, გარკვეულწილად შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ბრალდებულის სხვა სახის საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობაც (საქველმოქმედო, ჰუმანიტარული, სამეცნიერო, შემოქმედებითი და ა.შ.).“<sup>24</sup>

### **2.1.3. ბრალდებულის ოჯახური მდგომარეობა**

ჰუმანური სულისკვეთებიდან გამომდინარე, აუცილებელია რომ პროცესის მწარმოებელმა, სხვა ყველა გარემოებებთან ერთად, გაითვალისწინოს ბრალდებულის მძიმე თუ „უმძიმესი“ ოჯახური მდგომარეობა. ასეთი მდგომარეობის არსებობა ანდა არარსებობის პროცესის მწარმოებელი, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, განსაზღვრავს აშესაბამისი კრიტერიუმების საფუძველზე - გონივრული მიდგომისა და პირადი ცხოვრებისეული თუ საერთო-სოციალური გამოცდილების ბაზაზე ადეკვატური შეფასების გზით.

<sup>23</sup>ი.გაბისონია, დასახ. ნაშრ., გვ. 61-62.

<sup>24</sup>იქვე, გვ. 62-63.

პრაქტიკაში ასეთ მძიმე მდგომარეობად ითვლება, როცა ბრალდებული ერთადერთი მარჩენალია ოჯახისა, რომელიც შედგება მისი ერთი ან მეტი არასრულწლოვანი შვილისა ანდა ინვალიდი, ავდმყოფი, უმუშევარი მეუღლისგან, ამასთან, ოჯახის წევრებს საარსებოდ სხვა რაიმე მნიშვნელოვანი შემოსავლი არ გააჩნიათ. მძიმე მდგომარეობის შემადგენელი „კომპონენტებს“, ასევე შეიძლება წარმოადგენდეს ოჯახის წევრის გარდაცვალება, სტიქიური უბედურებები თუ სხვა ფაქტორების შედეგად საცხოვრებლის, ძირითადი ქონების და/ან შემოსავლის წყაროს განადგურება-დაზიანება და მსგავსი მძიმე შემთხვევები.

„ჩვენს დღევანდელ სინამდვილეში მძიმე ოჯახურ მდგომარეობას უთანაბრდება შემთხვევა, როცა, ბრალდებულის დაპატიმრების შემთხვევაში, მისი არასრულწლოვანი შვილი (შვილები) უპატრონოდ რჩება ოჯახის სხვა შემოსავლისმქონე წევრის არყოლის, ხოლო უპატრონოდ დარჩენილ მოზარდზე სახელმწიფოებრივ-სოციალური მეთვალყურეობისა და მზრუნველობის ნორმალურ მიღებული სისტემების (მათ შორის, სათანადო საბავშვოდაწესებულებების) არარსებობის ან ფაქტობრივი მოშლილობის გამო.“<sup>25</sup>

#### **2.1.4. ბრალდებულის ქონებრივი მდგომარეობა**

ბრალდებულის ქონებრივი მდგომარეობა ფაქტობრივად ნეგატიურად ითვლება. სწორედ აღნიშნულის გამო ბრალდებული, როგორც ხშირ შემთხვევაში ვერ იხდის გირაოს თანხას, რითაც ვერ ახორციელებს საერთაშორისო აქტებითა და სხვა დოკუმენტებით გათვალისწინებულ, ნორმალურ ქვეყნებში ფართოდ გამოყენებულ უფლებას - სასამართლო განხილვამდე და გადაწყვეტილების მიღებამდე, გირაოს თანხის შეტანით იყოს თავისუფლებაში. გირაოს გამოყენება კი იმას ნიშნავს, რომ ბრალდებული ამ შემთხვევაში არც სახელმწიფოს დააწვეს შესანახად და თვადაც განაგრძოს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში მონაწილეობა. ჰქონდეს შესაძლებლობა ქმედითად შეურიგდეს დაზარალებულს -

---

<sup>25</sup>ი.გაბისონია, დასახ. ნაშრ., გვ. 67-68.

დროულად აუნაზრაუროს მას მიყენებული ზიანი რომელიც, რესტიტუციული იუსტიციის მნიშვნელოვან, პროგრესულ პრინციპადაა აღიარებული საერთაშორისო დოკუმენტში.

„გირაოს - როგორც პროგრესული, პატიმრობის უმთავრეს აღიარებული ეფექტიანი ალტერნატივად აღკვეთის ღონისძიების - გამოყენების ეს უაღრესად ნეგატიური გარემო პროცესის მწარმოებელთ უბიძგებს გირაოს ნაცვლად სხვა, საბოლოო ანგარიშით ნაკლებად პროდუქტიული ალტერნატიული, არასაპატიმრო ღონისძიების გამოყენებისაკენ - იმ შემთხვევაში, როცა ბრალდებულს, მის ოჯახს აქვს განსაკუთრებულად მძიმე ქონებრივი (მატერიალური) მდგომარეობა. სხვა, ორდინალურ შემთხვევაში კი, ნებისთ თუ უნებლიეთ, პრაქტიკა მეტ-ნაკლებად მძიმე, არახელსაყრელ ქონებრივ მდგომარეობას, ცხადია, იყენებს (უნდა იყენებდეს) მხოლოდ რიგ სხვა ფაქტორებთან (გარემოებებთან) ერთობლიობაში - აწონილ-დაწონილად, გონივრულად, თანაზომიერების პრინციპის დაცვით.“<sup>26</sup>

#### **2.1.5. სხვა გარემოებები**

„სხვა გარემოებებს“, ჩვენს შემთხვევაში, შეგვიძლია, გარკვეული დათქმებით, სათანადო საპროცესო „სიფრთხილისა“ თუ „ზომიერების“ გამოჩენით, მივაკუთვნოთ შემდეგი:

1) დანაშაულის მოტივი და მიზანი შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს იმ ფარგლებში, რომელიც ამ ეტაპზე უდავოდაა დადგენილი და საგანგებო განხილვას არ მოითხოვს, ამასთან, ისინი არ წარმოადგენს ამ დანაშაულის მაკვალიფიცირებელ ნიშანს.

„ მაგალითად: ისევე, როგორც სასჯელის დანიშვნისას, ვერც აღკვეთის ღონისძიებად დაპატიმრების შერჩევის საკითხის გადაწყვეტისას იქნება სულერთი მოსამართლისათვის (სასამართლოსთვის), მაგალითად, ის გარემოება, რომ ბრალდებულმა დიდი ოდენობის ქონების გამოძალვა ჩაიდინა არა ანგარებით, გამოძალული ფულის მითვისების მიზნით,

---

<sup>26</sup>ი.გაბისონია, დასახ. ნაშრ., გვ. 68-69;

არამედ ალტრუსტული მოტივით, ვთქვათ იმ მიზნით, რომ ეს ფული გადაეცა მეზობლისათვის, მისი მძიმე ავადმყოფი ბავშვისათვის გადაუდებელი, ძვირადღირებული ოპერაციის გასაკეთებლად.“<sup>27</sup>

2) ქმედებაში გამოვლენილი მარლთსაწინააღმდეგონება, რომელიც აშკარა ხასიათისაა და იმგვარადაა გამოხატული, რომ არ სჭირდება გამოკვლევა, ამგვარი რამ შესაძლოა გაითვალისწინოს სასამართლომ აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობის შერჩევას.

ზემოაღნიშნულის კარგი მაგალითია : „ორმა ნასვამმა, ახალგაზრდა მამაკაცმა ჯერ ჩხუბის ადგილზე სცემა მათი ნაცნობი ახალგაზრდა - გონება-ნაკლული ბიჭი, შემდეგ კი იგი ავტომანქანით გაიყვანეს დაუსახლებელ ადგილას, სადაც კვლავ სცემეს ხელებითა და ფეხებით.

ამის შემდეგ მათ ადგილზე დატოვეს ნახევრად უგონოდ მყოფი ნაცემი ბიჭი და მანქანით გაემგზავრნენ, მაგრამ, გზაში ერთ-ერთმა თქვა, „თუ არ გავთიშავთ, ეგ პოლიციაში ჩავვიშვებო მოაბრუნა მანქანა და, ადგილზე მისულმა, ახლა უკვე ქვა ჩაარტყა მასთავში.

მართალია, დაზარალებული გადარჩა, მაგრამ უწინარესად, სწორედ ქმედებაში გამოვლენილი მარლთსაწინააღმდეგონების ხასიათის გათვალისწინებით თბილისის საოლქო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის მოსამართლის ბრძანებით, იმ ბრალდებულს, რომელმაც ქვა ჩაარტყა თავში მსხვერპლს, შერჩეული არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიება შეეცვალა დაპატიმრებით, მიუხედავად იმისა, რომ ბრალდებული ადრე ნასამართლევი არ ყოფილა, ხასიათდებოდა და დებითად და ა.შ.“<sup>28</sup>

3) მოვალეობათა დარღვევის ხასიათი და ზომა, ასეთ შემთხვევაში, გარემოებების გამოკვლევის შემთხვევაში შესაძლოა დადებითი ან უარყოფითი კუთხით დამახასიათებელი ბრალდებულის პიროვნებისთვის, აღნიშნულის მაგალითია ასევე „ რკინიგზის, წყლის, საჰაერო ან საბაგირო ტრანსპორტის ან თუნდაც ავტომობილის და სხვა ჩვეულებრივი ტრანსპორტის უსაფრთხოების, ან ექსპულატაციის წესის დარღვევის

<sup>27</sup> იქვე, გვ. 71.

<sup>28</sup> ი.გაბისონია., დასახ. ნაშრომი, გვ. 71-72;

დანაშაულთა ჩამდენის მიმართ კანონი უფრო მძიმე დანაშაულად მაკვალიფიცირებელ გარემოებებს თვლის მხოლოდ სიმთვრალესა და ადამიანის (ადამიანთა) მსხვერპლს, რაც, ცხადია, იმთავითვე აისახება ამ დანაშაულისათვის კანონით გათვალისწინებულ სანქციაში - სასჯელის ზომაში მაგრამ ეს გარემოება იმას არ ნიშნავს, რომ სულერთი იყოს თუ რაში გამოიხატება, ვთქვათ, ავტომობილის მძღოლის მიერ ზემოხსენებული კონკრეტული წესის დარღვევა - რამდენად უხეშია იგი (მაგ., უყურადღებობის გამო, მანევრირების მაჩვენებელი სიგნალის ჩაურთველად გადავიდა ერთ სამომდრაო ზოლიდან მეორეში, თუ შეგნებულად გადაკვეთა სწორი ღერძულა ხაზი შემხვედრ ავტომანქანასთან შეჯახების აშკარა საფრთხის შექმნით ერთი დარღვევა დაუშვა თუ მრავალი და ა.შ.“<sup>29</sup>

4) ქმედების განხორციელების სახეც და ხერხი მნიშვნელობის მატარებელია მაშინ, როდესაც ერთი და იმავე კვალიფიკაციის ფარგლებში ეს ქმედება შეიძლებოდა პირს განეხორციელებინა სხვადასხვა სახითა და ფორმით მაგალითად, „ზედმეტი ნგრევისა თუ სხვაგავრი ზარალის გამოწვევით, ტანჯვის მიყენებით - განსაკუთრებით ცინიკური მოპყრობით, აბუჩად აგდებით, დამცირებით გამოწვეული ნეგატიური ფსიქიკური განცდების შედეგად.“<sup>30</sup>

5) ყოფაქცევა ქმედების შემდეგ („პოსტ კრიმინალური ქცევა“),

ზემოაღნიშნული მეტ-ნაკლები ხარისხით, დადებითად ან უარყოფითად ახასიათებს ბრალდებულს - მათ შორის აღკვეთის ღონისძიების მიზნების პოზიციებიდანაც.

„აქ საგანგებოდ გამოიყოფა ბრალდებულის მისწრაფება - შეირიგოს დაზარალებული, აანაზღაუროს მიყენებული ზიანი (მაგალითად, მკურნალობისა თუ პროთეზირების, დაზიანებული ავტომანქანის აღდგენისა და მსგავსი დანახარჯები). ამგვარი მიდგომა ანუ „აღდგენითი მარლთმსაჯულების“ (რესტრუტიციული იუსტიციის) პრინციპების გამოყენება, როგორც აღნიშნა, მოწონებულია როგორც საერთაშორისო

<sup>29</sup>იქვე, გვ.72;

<sup>30</sup>ი.გაბისონია,დასახ.ნაშრ., გვ. 73.

ნორმატიული აქტებითა და სხვა დოკუმენტებით, ისე ადამიანის უფლებათა ევროპული (სტრასბურგის) სასამართლო პრაქტიკით.“<sup>31</sup>

სამწუხაროდ, პატიმრობის შერჩევასა, ქართული სასამართლო ჩამოთვლილ გარემოებებს ხშირ შემთხვევაში არ ითვალისწინებს, თუმცა ხდება ისეც რომ აღნიშნულის გათვალისწინებაც ხდება.

„ევროპის სასამართლომ კონვენციის მე-5(3) მუხლის დარღვევა მრავალ საქმეში დაადგინა, როდესაც ეროვნულმა სასამართლოებმა ადეკვატური და საკმარისი მიზეზები ვერ წარმოადგინეს პატიმრობის შეფარდებისას.“<sup>32</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განმარტავს შემდეგს, რომ პირის პატიმრობაში ყოფნის საკითხი აუცილებელია შეფასდეს კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით;

კონვენციის მე-5 მუხლის (თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება) დარღვევის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას სტრასბურგის სასამართლო ადგილობრივი სასამართლოს გადაწყვეტილებაში მოცემული დასაბუთებისა და მომჩივნის/განმცხადებლის მიერ საჩივარში მოყვანილი ფაქტების საფუძველზე იღებს; „მე-5(3) მუხლი არ შეიძლება გაგებულ იქნას იმგვარად, თითქოს ის უპირობოდ იძლევა პირის დაპატიმრების შესაძლებლობას. ამასთან, პატიმრობა არ უნდაგაგრძელდეს დიდი ხნის მანძილზე. ადგილობრივმა ორგანოებმა დამაჯერებლად უნდა წარმოადგინონ პატიმრობის გამამართლებელი არგუმენტები, თუნდაც მოკლე ვადით პატიმრობის შემთხვევაში.“<sup>33</sup>

---

<sup>31</sup> იქვე, გვ. 73-74;

<sup>32</sup> წინასწარი პატიმრობის შეფარდებასთან დაკავშირებულია ადამიანის უფლებათა სასამართლის ნალიზი, ნ. ხაინდრავა, ბ. ბოხაშვილი, თ. ხიდაშელი, თბ., 2010, გვ. 111;

<sup>33</sup> ევროსასამართლოს სტანდარტები, გვ. 2.

## **2.2. პატიმრობის, როგორც აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ფორმალური ანუსაპროცესო საფუძველი**

ტერმინი „ფორმალური“ ანუ „საპროცესო“ მიუთითებს იმაზე, რომ საუბარია „წმინდა“ საპროცესო (ფორმისმიერ) სამართლებრივ ფენომენზე - განსხვავებით ფაქტობრივი ანუ მტკიცებულებითი საფუძვლისაგან.

„აღკვეთის ღონისძიება გამოიყენება, თუ სისხლის სამართლის საქმეში არსებული მტკიცებულებები იძლევა საკმაო საფუძველს ვარაუდისთვის, რომ აუცილებელია ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული მიზნის უზრუნველყოფა“.

ამგვარად, როგორც ვხედავთ, ამ ნორმაში უფრო მტკიცებულებებზეა გამახვილებული ყურადღება, მაგრამ, ამასთან, მასში მოცემულია ფორმალური ანუ საპროცესო საფუძვლის ცნების „გასაღებიც“- იმის დასაბუთებული ვარაუდის არსებობა, რომ აუცილებელია ამავე მუხლის პირველ ნაწილში მითითებული რომელიმე მიზნის (რომლებიც ზემოთ ცალ-ცალკე განვიხილო) უზრუნველყოფა ანუ შესრულება („შესრულების უზრუნველყოფა“) . აქედან აშკარაა, რომ კანონმდებელი ამ საფუძვლის შინაარსს ამყარებს მიზნების ცნებაზე.<sup>34</sup>

## **2.3. პატიმრობის გამოყენების ფაქტობრივი ანუ მტკიცებულებითი საფუძველი**

სასამართლო აღნიშნავს, რომ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების აუცილებელი პირობაა ფაქტობრივი (მტკიცებულებითი) საფუძვლის არსებობა - დანაშაულის ჩადენის თაობაზე დასაბუთებული ვარაუდი. სასამართლო განმარტავს, რომ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ფაქტობრივი საფუძველი უკავშირდება მტკიცებულებების საკითხს დადასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით უნდა შეფასდეს საქმეზე არსებული ფაქტებისადა ინფორმაციის ერთობლიობა საქმის გარემოებათა გათვალისწინებით რამდენად დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რომ დაესკვნა ბრალდებულის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენა.

---

<sup>34</sup>ი.გაბისონია, დასახ. ნაშრომი, გვ. 36-37.



აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, მნიშვნელოვანია, დანაშაულის ჩადენის შესახებ საფუძვლიანი ეჭვის არსებობა აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისას. დანაშაულის ჩადენის თაობაზე დასაბუთებული ვარაუდის - „საფუძვლიანი ეჭვის“ არსებობის დასამტკიცებლად ნაკლები მტკიცებულებაა საჭიროვიდრე მსჯავრდების დასაბუთებისას, თუმცადა, აღნიშნულის მიუხედავად, მისი არსებობა ობიექტურ ფაქტებს აუცილებლად უნდა ეფუძნებოდეს. ევროსასამართლომ აგრეთვე აღნიშნა, რომ „საფუძვლიანი ეჭვი“ გულისხმობს იმ ფაქტების ან ინფორმაციის არსებობას, რომელიც დაარწმუნებდა ობიექტურ დამკვირვებელს, რომ ეჭვიმტანილ პირს შეეძლო დანაშაულის ჩადენა. ის, თურა შეიძლება ჩაითვალოს „საფუძვლიანად“, დამოკიდებულია საქმის ყველა გარემოებაზე“. ამასთან, აღსანიშნავია, რომ აღკვეთის ღონისძიების საკითხი განიხილება ბრალდებულის უდანაშაულობის პრეზუმფციის კონტექსტში და ფაქტობრივი (მტკიცებულებითი) საფუძვლების შემოწმება, რაც იმთავითვე აუცილებელია, არ გულისხმობს პირის ბრალეულობის მტკიცებას, რამეთუ აღკვეთის ღონისძიება არის საპროცესო იძულების ღონისძიება და არა პირის ბრალეულობის მტკიცება.“<sup>35</sup>

#### **2.4. ბრალდებულის მიმალვა და მის მიერ მარლთმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლა**

საქართველოს კანონმდებლობა აღკვეთის ღონისძიების და მისი ცალკეული სახის გამოყენებას უკავშირებს ისეთ მნიშვნელოვან რამეს, როგორცაა მიზანშეწონილობისა და პროპორციულობის საკითხის შეფასება და სწორედ ამგვარად ცდილობს პირის თავისუფლების სასარგებლოდ არსებული პრეზუმფციის გამყარებას და დასაბუთებას. აღნიშნული საკითხების გააზრება კი თავისთავად მოითხოვს, საფრთხეების, საქმის ვითარებისა და ბრალდებულის პიროვნების ინდივიდუალურად შეფასებას, ასევე ცალკეული საქმეებისთვის დამახასიათებელი სპეციფიკის

---

<sup>35</sup>ევროსასამართლოს გადაწყვეტლებანი, გვ. 1.

გათვალისწინებას. ამიტომაც აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თითოეულ საფუძველს თავისი დამოუკიდებელი დასაბუთება უნდა გააჩნდეს. ასე მაგალითად:

პირის მიმალვის საფრთხე- არ შეიძლება, რომ შეუძლებელია რომ აბსტრაქტულად არსებობდეს, თუკი მის რეალობას კონკრეტული გარემოებები არ განაპირობებს. ამიტომაც მნიშვნელოვანია, რომ ბრალდებულის მიმალვის საფრთხის შეფასებისას მხედველობაში იქნას მიღებული, თავად პიროვნების ხასიათის თავისებურებები, აგრეთვე საქმესთან დაკავშირებული ყველა ფაქტობრივი გარემოება და მოსალოდნელი სასჯელის ხასიათი.

აგრეთვე სავალდებულოდ უნდა შეფასდეს, სასჯელის სიმძიმემ შეიძლება თუ არა წარმოშვას ბრალდებულის მხრიდან მიმალვის სურვილი და ამასთან, იმ ობიექტური გარემოებების არსებობა, რამაც შეიძლება სისრულეში მოიყვანოს ბრალდებულის ამდაგვარი სურვილი.

ზემოაღნიშნულის შესაფასებლად მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ბრალდებულის ფინანსური რესურსები, ქონება, რომლის დატოვებაც მას მოუწევს მიმალვის შემთხვევაში; ოჯახური მდგომარეობა და მისი კავშირები; ბრალდებულის კავშირები საზღვარგარეთ; მოსალოდნელი განაჩენის სიმკაცრე; ბრალდებულის წინასწარი პატიმრობის განსაკუთრებული პირობები; ბრალდებულის მჭიდრო კონტაქტები მისი დაკავების ქვეყანაში; გარანტიების ხარისხი, რომლითაც უზრუნველყოფილია პირის სასამართლოში გამოცხადება და ა.შ.<sup>36</sup>

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე სადაც პირს ბრალად ედებოდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, ნარკოტიკული საშუალების შემენა-შენახვა და პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული ჰქონდა პატიმრობა, მიიჩნია

---

<sup>36</sup>აღკვეთის ღონისძიებების გამოყენება სისხლის სამართლის პროცესში: კანონმდებლობისა და პრაქტიკის კვლევა- კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის, თბ., 2011, გვ. 6-7.

რომ პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება პატიმრობის გამოყენებისას იყო დაუსაბუთებელი კერძოდ:

პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ ბრალდებული გ. ზ.-ს მიმალვის, მტკიცებულებათა მოპოვებასა და მართლმსაჯულების განხორციელებაში ხელის შეშლის, მომავალში დანაშაულებრივ საქმიანობაზე ხელის აღების ერთადერთი საშუალება იყო პატიმრობის გამოყენება, რასაც სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგია არ დაეთანხმება და განმარტა შემდეგი, რომ მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების მიზნების უზრუნველყოფა შესაძლებელია არასაპატიმრო ღონისძიების, კერძოდ, გირაოს გამოყენებითაც. აღნიშნული პოზიციის დაფიქსირებისას საგამომიებო კოლეგია აღნიშნავს, რომ დაპატიმრების თაობაზე სასამართლოს გადაწყვეტილება აპრიორი უნდა ემყარებოდეს მყარ არგუმენტაციას, რომელიც აღნიშნულ შემთხვევაში, სახეზე ნამდვილად არ გვაქვს. განჩინების დასაბუთება შემოიფარგლება მხოლოდ იმით, რომ ბრალდებით გათვალისწინებული დანაშაული ბრალდებულმა სავარაუდოდ ჩაიდინა სასამართლოს მიერ განზრახ მძიმე დანაშაულში მსჯავრდების შემდეგ. საჩივრის ზეპირი მოსმენით განხილვისას, პროკურორმა მიმალვის საშიშროება ახსნა დანაშაულის სიმძიმის და მკაცრი სასჯელის მოშველიებით, ხოლო ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე იმით, რომ ბრალდებული ნასამართლევა განზრახ მძიმე დანაშაულისთვის. საგამომიებო კოლეგიის აზრით, ბრალდების მხარის და პირველი ინსტანციის სასამართლოს ეს არგუმენტაცია საკმარისია ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოსაყენებლად, მაგრამ არ არის საკმარისი პატიმრობის შესაფარდებლად.

დანაშაულის სიმძიმე და სასჯელის სიმკაცრე გასათვალისწინებელი ფაქტორებია მიმალვის საფრთხის შესაფასებლად, მაგრამ მხოლოდ ამ გარემოებებზე აბსტრაქტულად მითითება არ შეიძლება საფუძვლად დაედოს პატიმრობის გამოყენებას. აღნიშნულთან დაკავშირებით, არაერთხელ აღნიშნა ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ

თავის პრეცედენტულ გადაწყვეტილებებში და უნდა ითქვას, რომ საქართველოს სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოების პრაქტიკაც ძირითადად ამ მიმართულებით მიდის. საქმეში *Mamedova v. Russia*, 7064/05, 2006 წლის 01 ივნისი, ევრო სასამართლომ მიუთითა: „განმცხადებლის განგრძობადი პატიმრობის კანონიერებისა და გამართლების განხილვისას რაიონული და საოლქო სასამართლოები დაჟინებით ეყრდნობოდნენ წარდგენილი ბრალდების სიმძიმეს - როგორც განმცხადებლის მიმალვის, სამართალწარმოებისთვის ხელის შეშლის ან და ნაშაულის ხელახლა ჩადენის რისკის შეფასების უმთავრეს ფაქტორს. თუმცა, სასამართლომ მრავალჯერ დაადგინა, რომ, მართალია, სანქციის სიმძიმე შესაბამისი ელემენტია იმის შეფასებისას, არსებობს თუ არა მიმალვის ანდა ნაშაულის ხელახლა ჩადენის საფრთხე, მაგრამ თავისუფლების აღკვეთის გაგრძელების საჭიროება არ შეიძლება შეფასდეს მხოლოდ წმინდა აბსტრაქტული მოსაზრებით და მხოლოდ დანაშაულის სიმძიმის გათვალისწინებით. პატიმრობის გაგრძელება არ შეიძლება ასევე იმ მოტივით, რომ მოსალოდნელია საპატიმრო სასჯელის შეფარდება...“ ანალოგიურად, საქმეში *W. v. Switzerland*, 14379/88, 1993 წლის 26 იანვარი, ევროსასამართლომ აღნიშნა, რომ მართლმსაჯულებისთვის თავის არიდების საფრთხე არ შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ მოსალოდნელი სასჯელის სიმკაცრით და იგი უნდა შეფასდეს სხვა რელევანტურ ფაქტორებზე მითითებით, რაც დამაჯერებელს გახდის მიმალვის განზრახვის არსებობას.

წარმოდგენილი მასალების ანალიზით და საჩივრისზე პირი მოსმენის დროს გაკეთებული განმარტებებით შეიძლება დავასკვნათ, რომ გ. ზ.-ს მიმალვის საფრთხე ზოგადად არსებობს, მაგრამ არა იმ ხარისხით და ინტენსივობით, რომ მის მიმართ გამოყენებულ იქნეს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა შეზღუდვის ყველაზე უკიდურესი ზომა - პატიმრობა. აღნიშნული დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა ის არსებითი ხასიათის გარემოებები, რომ ბრალდებული გულწრფელად აღიარებს და

ინანიებს ჩადენილს, მან თავად შეუწყო ხელი გამოძიებას მტკიცებულებათა მოპოვებაში, როდესაც ნარკოტიკული ნივთიერება გამოიტანა სამალავიდან და სამართალდამცავებს წარუდგინა. გარდა ამისა, სხვა სისხლის სამართლის საქმის გამოძიების დროს, 2014 წლის ივლისიდან დეკემბრამდე პერიოდში, როდესაც მას ასევე ბრალდებულის სტატუსი ჰქონდა და გირაოს ქვეშ იმყოფებოდა, არასოდეს არ დაურღვევია გირაოს გამოყენების პირობები, გამოძახებისთანავე ცხადდებოდა საგამომიებო ორგანოსა და სასამართლოში და როგორც მან განმარტა, განაჩენის გამოტანამდე ის დაახლოებით ათჯერ მაინც იყო გამოძახებული. გ. ზ.-ს განმარტებით, მას არ გააჩნია საზღვარგარეთის პასპორტი, საქართველოში ყავს დები, მამა და ის მჭიდროდ არის დაკავშირებული სამართალწარმოების ქვეყანასთან, რაც ასევე გამორიცხავს მის მიმალვას. აღნიშნული გარემოებების ფონზე, მხოლოდ იმის დეკლარირება, რომ ბრალდება ეხება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულს, რაც ითვალისწინებს მკაცრ სასჯელს და ამის გამო ბრალდებული მიიმალება, დაუსაბუთებელია დამოკლებულია სამართლებრივ საფუძველს.<sup>37</sup>

მხოლოდ შერაცხული დანაშაულის სიმძიმე, მოსალოდნელი მკაცრი სასჯელის შიში მუდმივი საცხოვრებელი ადგილის არარსებობა, ნასამართლობა არ წარმოადგენს პატიმრობის გამოყენების საკმარის საფუძველს. მიმალვის საფრთხე ერთნაირი წარმატებით (ბრალდებულის პიროვნული მახასიათებლებიდან გამომდინარე) შესაძლებელია არსებობდეს როგორც იმ შემთხვევებში, როდესაც ბრალდებულს ემუქრება მკაცრი სასჯელის გამოყენება, ასევე მაშინაც, როდესაც მოსალოდნელი სასჯელი შესაძლებელია არ აღმემატებოდეს 5 წლით თავისუფლების აღკვეთას. ამიტომ დანაშაულის სიმძიმე პატიმრობის დასაბუთებისათვის გამოყენებულ უნდა იქნეს სხვა წინაპირობებთან ერთად. მაგალითად,

---

<sup>37</sup>სააკუელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის განჩინება, საქმე №-1გ/1282;

ბრალდებულის მიერ დარღვეულია ადრე შერჩეული აღკვეთის ღონისძიება; ძეგნილია და სხვა.<sup>38</sup>

აღნიშნულ საკითხზე ევროპული სასამართლო ასევე მიუთითებს, რომ მართლმსაჯულებისათვის თავის არიდების საფრთხე არ შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ მოსალოდნელი სასჯელის სიმკაცრის საფუძველზე, იგი უნდა შეფასდეს სხვა რელევანტურ ფაქტორებზე მითითებით, რომლებიც ან გაამყარებს მართლმსაჯულებისთვის თავის არიდების საფრთხეს ან იმდენად უმნიშვნელოს გახდის, რომ იგი საკმარისი არ იქნება წინასწარი პატიმრობის გასამართლებლად.<sup>39</sup>

პროცესის მწარმოებელმა ორგანომ უნდა ამტკიცოს კონკრეტული/ობიექტურად იდენტიფიცირებადი საფრთხის რეალურად არსებობა და არა, პირიქით, რომ: 1) მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის სსსკ-ის 198-ე მუხლით გათვალისწინებული საფრთხე გამორიცხულია დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით; 2) ის, რომ გამოძიება გრძელდება და ჩასატარებელია რიგი საგამომიებო/საპროცესო მოქმედებები აპრიორი არ/ვერ ადასტურებს ბრალდებულის მხრიდან ხელის შეშლის საფრთხის არსებობას. ამ შემთხვევაში საგამომიებო/საპროცესო მოქმედების განხორციელების აუცილებლობა მიუთითებს მხოლოდ იმაზე, რომ გამოძიებას ჯერ კიდევ გადასამოწმებელი აქვს ბრალდებულისთვის წარდგენილი ბრალი და აღნიშნულმა შესაძლებელია გამოიწვიოს ბრალის როგორც დამძიმება, ასევე შემსუბუქება. ამიტომ ბრალდების მხარემ ამ შემთხვევაში უნდა ამტკიცოს, რომ ბრალდებულის წინარე ქმედებებიდან გამომდინარე აშკარა და რეალურია ბრალდებულის მხრიდან ამ კონკრეტული საგამომიებო/საპროცესო მოქმედების განხორციელებაში ხელის შეშლის საფრთხე. 3) ის, რომ გამოძიების ორგანოებს გააჩნია ეჭვი თანამონაწილეების არსებობის შესახებ, შესაძლებელია წარმოადგენდეს

<sup>38</sup>საქართველოს სისხლის სამართლის პროცესის კომენტარი, ავტ. კოლექტივი, თბ., 2015, გვ. 593.

<sup>39</sup>ჯ. მაკბრაიდი., ადამიანის უფლებები და სისხლის სამართლის პროცესი-ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სასამართლო, თბ., 2011, გვ. 64.

საკმარის საფუძველს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების განხორციელებისათვის, მაგრამ არა პატიმრობის გამოყენებისათვის. როგორც უკვე აღინიშნა, აღკვეთის ღონისძიების გამოყენება სუბიექტური ექვის საფუძველზე დაუშვებელია. ანალოგიურად, ყოფილი/მოქმედი თანამდებობრივისტატუსი თავისთავად ვერ დაასაბუთებს ბრალდებულის მხრიდან მართლმსაჯულებისათვის ხელის შეშლის საფრთხის რეალურობას.

„ბრალდებულის თავისუფლებაში ყოფნის შემთხვევაში... არ არის გამორიცხული რომ მან გამოძიებისათვის ზიანის მომტანი კავშირები იქონიოს შესაძლო დამნაშავე პირებთან; ასევე შესაძლოა შეეცადოს მოწმეებზე და სხვა მოსაპოვებელ მტკიცებულებებზე ზემოქმედებას“ - აღნიშნული წარმოადგენს მტკიცების ვალდებულების ე.წ. „ამოყირავების“ მაგალითს. სსსკ - ის ითვალისწინებს კონკრეტული იდენტიფიცირებადი საფრთხის არებობის და არა ზოგადად პირის მხრიდან მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის ვერგამორიცხვის მტკიცებას.<sup>40</sup>

ევროპული სასამართლოს განმარტებით, მართლმსაჯულების შეცდომაში შეყვანის საფრთხე (რაც პირის პატიმრობის გამამართლებელი ერთ-ერთი გარემოება შეიძლება იყოს) აღარ არსებობს იმ ეტაპზე, როდესაც მტკიცებულებები შეკრებილია.<sup>41</sup> სასამართლოს ამგვარი განმარტება და მიდგომა მიუთითებს იმას, რომ პატიმრობის საფუძველიანობის მუდმივი გადახედვის საჭიროება მიზანშეწონილიადა აუცილებელი, ვინაიდან პატიმრობის საწყის ეტაპზე არსებული საფრთხე, რაც ამართლებდა პატიმრობას, შესაძლებელია რომ განეიტრალდეს რამაც გაუმართლებელი გახადოს პირის პატიმრობაში მყოფი პირის კვლავ პატიმრობაში დატოვება.

**2.5. ბრალდებულის მიერ მტკიცებულებების განადგურების საფრთხე**  
მტკიცებულებების განადგურების საფრთხე შეიძლება გამოიხატებოდეს დოკუმენტების განადგურებაში, ან თანამონაწილეებსა

---

<sup>40</sup>საქართველოს სისხლის სამართლის პროცესის კომენტარი, ავტ. კოლექტივი, თბ., 2015, გვ. 604;

თუ მოწმეებზე ზეგავლენის მოხდენაში. მტკიცებულებათა განადგურება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მტკიცებულების ფიზიკურად მოსპობით (მაგალითად, დოკუმენტის დაწვა; ნივთმტკიცების დამტვრევა/გადაგდება, აფეთქება და ა.შ.), ასევე მისი ნიშან-თვისებების არსებითად გამოცვლის, მასზე არსებული კვალის წაშლის გზით - მაგალითად, ცეცხლსასროლი იარაღის გამოცვლა; იარაღზე არსებული კვალის წაშლა, მკვლელობის ადგილის დამუშავება იქ არსებული კვალის წაშლის მიზნით, დანაშაულის ჩადენის ადგილისთვის ცეცხლის წაკიდება კვალის წაშლის მიზნით და ა.შ.

საფრთხის არსებობის დადასტურებისათვის წარმოდგენილ უნდა იქნეს კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებები მტკიცებულების განადგურების/ მოწმეებზე ზემოქმედების განზრახვის/მცდელობის არსებობის შესახებ.

„ მტკიცებულებათა განადგურების საფრთხის დასაბუთებისთვის შესაძლებელია დამატებით მიეთითოს, მაგალითად, იმაზე, რომ „ბინის ჩხრეკის დაწყებამდე ბრალდებული შეეცადა გადაემალა... კანონით აკრძალული ნივთები, რაც პირდაპირ მიუთითებს მის მიერ დანაშაულში მამხილებელი მტკიცებულებების მოპოვებაში ხელის შეშლასა და მათი ან სხვა მტკიცებულების განადგურების საფრთხეზე, რაც მომავალშიც არ არის გამორიცხული.

მოწმეებზე ზემოქმედება: ბრალდების მხარემ სასამართლოს უნდა წარუდგინოს კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებები და ინფორმაციის წყარო, რომელიც ნათლად მიუთითებს ბრალდებულის მხრიდან მოწმეებზე ზემოქმედების შესახებ.“<sup>41</sup>

მნიშვნელოვანია საქმე „ლეტელიე საფრანგეთის წინააღმდეგ“ სადაც მომჩივანს ბრალი ედებაოდა საკუთარი ქმრის მკვლელობის დახმარებასა და წაქეზებაში. მოსამართლემ კი ის გაათავისუფლა, თუმცა სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული გადაწყვეტილება გააუქმა. ვინაიდან მომჩივნის

---

<sup>41</sup> საქართველოს სისხლისსამართლის პროცესის კომენტარი, ავტ. კოლექტივი, თბ., 2015, გვ.597-599.



პატიმრობის ერთ-ერთი საფუძველი მოწმეებზე ზეგავლენის მოხდენის საფრთხე იყო.

სწორედ აღნიშნულ საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა დარღვევა შემდეგ გარემოებებზე დაყრდნობით და განაცხადა, რომ „მიუხედავად იმისა, რომ მოწმეებზე ზეგავლენის მოხდენის საფრთხე მართლაც შეინიშნებოდა გამოძიების საწყის ეტაპზე, რამდენიმე მოწმის დაკითხვის შემდეგ, ის უკვე აღარ იყო გადამწყვეტი. უფრო მეტიც, არაფერი ადასტურებდა, რომ მომჩივანი ახორციელებდა მოწმეების დაშინებას მისი ციხიდან გამოშვების პერიოდში სააპელაციო სასამართლოს მიერ დაპატიმრებამდე. ანუ სასამართლომ განაცხადა, რომ შესაძლოა საწყის ეტაპზე მოწმეებზე ზეწოლის განხორციელების რეალური რისკი არსებობდა, თუმცა ის შემცირდა გარკვეული დროის გასვლის შემდგომ. შესაბამისად, მისი პატიმრობა აღნიშნული საფუძველით აღარ იყო გამართლებული.

მოწმეზე ზემოქმედების საფრთხის შეფასებისათვის ევროპული სასამართლო გადაწყვეტილებაში Jarzinski v. Poland, მითითებულია, რომ „მოწმეებზე ზემოქმედების საფრთხე შესაძლოა მიღებულ იქნეს მხედველობაში საქმის წარმოები საწყის ეტაპებზე“.<sup>42</sup>

## **2.6. ბრალდებულის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე**

სასამართლოს პრეცედენტული სამართალი ერთმნიშვნელოვნად ცხადყოფს შემდეგს ახალი დანაშაულის ჩადენის რისკებთან დაკავშირებით რომ ბრალდებულის წარსული არ უნდა იყოს გათავისუფლებაზე უარის თქმის სამკარისი საფუძველი, მაგრამ ის მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული და ფაქტი, რომ პირი ანალოგიურ დანაშაულებზეა ნასამართლევნი უკვე იყო. თუკი საქმე გვაქვს თაღლითობასთან, ყალბი დოკუმენტის დამზადებასთან ან სხვა მსგავსი ტიპის დანაშაულთან, აუცილებელია, რომ ყურადღება გამახვილდეს მხედველობაში არა მარტო მტკიცებულებების გაყალბების ან

---

<sup>42</sup>ევრო სასამართლოს გადაწყვეტილება, გვ.1;

განადგურების საფრთხე, არამედ იმაზეც რომ მაღალი ალბათობით არსებობს ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხეც.

მაგალითად, საქმეში „კონტრადა იტალიის წინააღმდეგ“<sup>43</sup> სასამართლომ განაცხადა, რომ ადგილობრივი ორგანოების შეფასებით, განმცხადებლის კავშირებიდან გამომდინარე არსებობდა მისი მხრიდან მაფიის ლიდერებისთვის დახმარების აღმოჩენის საფრთხე. სწორედ აღნიშნული კავშირების შედეგად გახდა განმცხადებლისთვის ცნობილი ერთ-ერთი მოწმის მიერ გაკეთებული განცხადებების შინაარსი მაშინ, როდესაც საქმე გრიფით საიდუმლო იყო. შესაბამისად, არსებობდა დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელების რისკი, ყოველ შემთხვევაში მანამ, სანამ სასამართლო დაასრულებდა მოწმეთა დაკითხვას.<sup>44</sup>

ზემოთ ხსენებულ განჩინებაში(საქმე №-1გ/1282) სააპელაციო სასამართლო განმარტავს: დანაშაულის ხელახლა ჩადენის მოტივით დაპატიმრების შესაძლებლობის საკითხზე მსჯელობისას, საქმეში Muller v. France, 21802/93, 1997 წლის 17 მარტი, ევრო სასამართლომ მიუთითა, რომ „დანაშაულის ხელახლა ჩადენასთან დაკავშირებით პირის წარსულ ცხოვრებაზე მითითება საკმარისი არ არის გათავისუფლებაზე უარის თქმის გასამართლებლად...“ განსახილველ შემთხვევაში, ახალი დანაშაულის ჩადენის შესახებ დასაბუთებული ვარაუდის საფუძვლად ბრალდების მხარემ მიუთითა მხოლოდ ბრალდებულის ნასამართლობის ფაქტზე. სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგია ეთანხმება როგორც ბრალდების მხარეს, ისე პირველი ინსტანციის სასამართლოს, რომ ეს გარემოება მართლაც მიანიშნებს ახალი დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობაზე, თუმცა საკმარისი არ არის ბრალდებულის მიმართ პატიმრობის გამოსაყენებლად. აღნიშნული მიზეზით პატიმრობის შესაფარდებლად საჭიროა თავად ახალი დანაშაულის ჩადენის მომასწავებელი ისეთი უტყუარი გარემოებების წარმოდგენა, რომელთა მიხედვითაც დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელების აღკვეთა

<sup>43</sup>კონტრადა იტალიის წინააღმდეგ, საქმე N 92/1997/876/1088 (24.08.1998);

<sup>44</sup>ევრო სასამართლოს სტანდარტები, გვ.17.

მხოლოდ პატიმრობით თუ იქნება შესაძლებელი. ეს შეიძლება იყოს ძალადობრივ დანაშაული, რაც ბრალდებულში მის ძალადობრივი ფსიქოლოგიის არსებობასა გამოამჟღავნებს და მოსალოდნელ რეციდივებზე მიუთითებს, ანდა რამოდენიმე ერთგვაროვანი დანაშაულს არსებობა, რომელიც ადვილად შესაძლოა მეტყველებდეს ბრალდებულის მიდრეკილებაზე, ერთი კონკრეტული დანაშაულებრივი გეგმების არსებობა, რომელიც შეიძლება მოპოვებული მტკიცებულებებით დასტურდებოდეს ან მოვლენათა განვითარების ისეთი ჯაჭვი, რაც გარდაუვალად იწვევს და მოასწავებს სხვა დანაშაულის ჩადენას და ა.შ.

მოცემულ შემთხვევაში, დანაშაულის ხელახლა ჩადენის აშკარა ნიშნები სახეზე არა რის, თუმცა, მთლიანად ამის გამორიცხვაც არ იქნებოდა მართებული. აღნიშნულის გათვალისწინებით, საგამომიებო კოლეგიას მიაჩნია, რომ ბრალდებულის მიერ დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელების თავიდან ასაცილებლად პატიმრობაზე არანაკლებ ეფექტური იქნება ისეთი არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიების გამოყენება, როგორცაა აგირაო. სავარაუდოდ დანაშაულის ჩადენამდე მცირე ხნით ადრე სხვა დანაშაულისთვის გ. ზ.-ს ნასამართლობის ფაქტი, ამ მხრივ გარკვეულ ეჭვებს აჩენს, მაგრამ ეს გარემოება არ ქმნის ისეთ დიდ საშიშროებას, რომ მისი პრევენცია სხვა, ალტერნატიული საშუალებებით არიყოს შესაძლებელი. პირველ შემთხვევაში ბრალდებულის ნასამართლობა უკავშირდებოდა დაახლოებით ორმოცი ლიტრი დიზელის საწვავის მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრების მიზნით დაუფლების მცდელობის ფაქტს, ხოლო ამჟამად მის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა მიმდინარეობს ნარკოტიკული საშუალების (მარიხუანას) უკანონო შექმნა-შენახვისთვის. ამ ორ სხვადასხვა ხასიათის დანაშაულში საგამომიებო კოლეგია ვერ ხედავს ლოგიკურ ბმას ბრალდებულის მიერ დანაშაულის გასაგრძელებლად. ამასთან, დაცვის მხარე ირწმუნება, რომ ბრალდებული არ არის ნარკოტიკებზე დამოკიდებული პიროვნება, რის საწინააღმდეგო უტყუარი მტკიცებულებები და ფაქტები ბრალდების მხარემ სასამართლოს

ვერ წარუდგინა. ასეთ პირობებში, საამოძიებო კოლეგიას მიაჩნია, რომ მომავალში დანაშაულის ხელახლა ჩადენის თავიდან ასაცილებლად გირაოს შეფარდებაც საკმარისი იქნება<sup>45</sup>

ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხის შეფასების დროს აუცილებელია სასამართლომ განსაზღვროს თუ რამდენად არსებობს პირის მიერ დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელების რეალური და ობიექტური საფრთხე. არის თუ არა ისეთი მტკიცებულებები, რომლებიც ობიექტურად მიუთითებენ დანაშაულის მომზადებაზე ან დანაშაულის მომზადების, დანაშაულის მცდელობის სტადიზე დაუსრულებელი დანაშაულის დასრულების განზრახვაზე.

---

<sup>45</sup>სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის განჩინება,საქმე№-1გ/1282;

## თავი III. პატიმობის გამოყენების შესახებ შუამდგომლობის მომზადება და განხილვა

### 3.1. შუამდგომლობის მომზადება და განხილვა

აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობით პროკურორი სასამართლოს მიმართავს ბრალდებული პირის დაკავებიდან არა უგვიანეს 48 საათისა.

„შუამდგომლობაში უნდა აისახოს ბრალდებულის საიდენტიფიკაციო მონაცემები, ბრალდების არსი, აგრეთვე ნებისმიერი ინფორმაცია თუ მტკიცებულება, რომელსაც ბრალდება ემყარება, და მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიება.“<sup>46</sup>

მხარემ შუამდგომლობაში უნდა მიუთითოს ინფორმაცია, რომელიც ხასიათდება რელევანტურობით და სარწმუნოების თუნდაც მინიმალური ხარისხით, რომელიც პროცესის მწარმოებელ სუბიექტს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით დაარწმუნებს შუამდგომლობაში მითითებული მოთხოვნის დასაბუთებულობასა და შუამდგომლობის დასაშვებობაში (მათ შორის შეუძლია გამოიყენოს დაუშვებელი მტკიცებულებები, ვინაიდან მტკიცებულების და საშვებობის საკითხი წყდება მოგვიანებით წინასასამართლო სხდომაზე). მაგალითად, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობის დასაბუთებულობისათვის ბრალდების მხარემ შეიძლება გამოიყენოს ოპერატიულ-სამძებრო ინფორმაცია (პატაკი კონფიდენტის მიერ მიწოდებული ინფორმაციის შესახებ), ირიბი ჩვენება, საგაზეთო პუბლიკაცია, ელექტრონული მიმოწერა დაზარალებულსა და ბრალდებულს შორის და ა.შ.)

შუამდგომლობასთან ერთად სასამართლოში სავალდებულოა არა მთლიანად საქმის მთელი მასალის, არამედ მხოლოდ „შუამდგომლობის განხილვისათვის მნიშვნელოვანი“ ყველა იმ მტკიცებულების ასლების წარდგენა, რომლებიც ადასტურებენ შუამდგომლობაში მითითებული

---

<sup>46</sup><https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034>

აღკვეთის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობას (მაგალითად პატიმრობის გამოყენების მოთხოვნის შემთხვევაში -დაკავების ოქმი, რომელშიც მითითებული სახელწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის მცდელობისას ბრალდებულის დაკავებისას მისი მხრიდან წინააღმდეგობის გაწევის შესახებ, დაკავების განმახორციელებელი პირების ჩვენება და დაკავების ამსახველი ვიდეოფირი, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომელიც მიუთითებს, რომ ბრალდებულის სახელზე რიცხული მთელი ქონების გასხვისება განხორციელ და პირისთვის ბრალდების წარდგენის შემდეგ, ინფორმაცია საზღვარგარეთ ბრალდებულის კავშირების და ნათესავ-მეგობრების შესახებ, რომელთანაც ბრალდებულს ბოლო პერიოდში ჰქონდა მჭიდრო სატელეფონო/ინტერნეტკავშირი სატელეფონოს საუბრის ამსახველ ჩანაწერთან ერთად და სხვა.

შუამდგომლობასთან ერთად სასამართლოს სავალდებულო წესით უნდა წარედგინოს: დადგენილება ბრალდების შესახებ, ინფორმაცია ბრალდებულის ქონებრივი და ოჯახური მდგომარეობის შესახებ, ყველა იმ წერილობითი მტკიცებულების ასლი, რომელიც მიუთითებს მიმალვის/მტკიცებულების განადგურების, ახალი დანაშაულის ჩადენის ან მოწმეებზე ზემოქმედების საფრთხეზე/მცდელობაზე, მათ შორის, გადაუდებელი აუცილებლობის ფორმატში განხორციელებული საგამომიებო მოქმედებების ოქმები, ცნობანასამართლეობის შესახებ, ცნობა ბრალდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ და საქმის კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე სხვა მტკიცებულებები, რომლებიც ასაბუთებენ შუამდგომლობას.<sup>47</sup>

აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობის ვადა სასამართლოსთვის წარმოადგენს 24 საათს, რა ვადაშიც მოსამართლემ უნდა განიხილოს აღკვეთის ღონისძიების საკითხი.

აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლისა და გაუქმების საკითხები განიხილება ღია სასამართლო სხდომაზე, თუკი არ არსებობს

---

<sup>47</sup>ავტ. კოლ., საქართველოს სისხლის სამართლის პროცესის კომენტარი, თბ., 2015, გვ.619-620.

სასამართლოს ხდომის დახურვის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული საფუძვლები. მოსამართლე შუამდგომლობას განიხილავს ერთპიროვნულად და მხარეთა მონაწილეობით. მოსამართლე ხსნის სასამართლოს ხდომას და აცხადებს, თუ რა შუამდგომლობა განიხილება, ასახელებს ასევე პროცესში მონაწილეებს და სავალდებულოდ არკვევს, არის თუ არა მხარეების მხრიდან აცილებები. შუამდგომლობის ავტორი ასაბუთებს მის შუამდგომლობას, ხოლო შემდეგში სიტყვა ეძლევა მეორე მხარეს, რის შემდეგაც მხარეები უფლებამოსილი არიან ერთმანეთს დაუსვან შეკითხვები. ამავე დროს მხარეთა გამოუცხადებლობა არ იწვევს შუამდგომლობის განხილვის გადადებას.

მხარე უფლებამოსილია და არა ვალდებული სასამართლოს წარუდგინოს შუამდგომლობის შემოწმებისათვის ყველა მის ხელთ არსებული საჭირო დოკუმენტები და ინფორმაცია რაც რელევანტურია საქმისთვის.

„ შუამდგომლობაში უნდა აისახოს ბრალდებულის საიდენტიფიკაციო მონაცემები, ბრალდების არსი, აგრეთვე ნებისმიერი ინფორმაცია თუ მტკიცებულება, რომელსაც ბრალდება ემყარება, და მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიება. შუამდგომლობის დასაბუთებულობისა და აღკვეთის ღონისძიების გამოყენების როგორც ფორმალური (საპროცესო), ისე ფაქტობრივი საფუძვლების შემოწმების შემდეგ მოსამართლეს გამოაქვს დასაბუთებული განჩინება.

აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობის განხილვისას მოსამართლე უფლებამოსილია სათანადო საფუძვლის მითითებით უარყოს შუამდგომლობაში აღნიშნული აღკვეთის ღონისძიება და ბრალდებულს შეურჩიოს სხვა, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიება ან საერთოდ არ გამოიყენოს აღკვეთის ღონისძიება.“<sup>48</sup>

აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების საკითხის განხილვისას მტკიცების ტვირთი ყველა შემთხვევაში ბრალდების მხარეს

---

<sup>48</sup>სსსკ-ის 206-ე მუხლის მე-2-მე-5 ნაწ;

ეკისრება. <sup>49</sup> პატიმრობის შუამდგომლობის დასაბუთებულობასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ მტკიცების ტვირთი ყოველთვის ბრალდების მხარესაა. <sup>50</sup> სწორედ ბრალდებამ უნდა ამტკიცოს იმ გარემოებების არსებობა, რაც პატიმრობის საწყის ეტაპზეც და შემდგომშიც, პატიმრობის ვადის ამოწურვამდე, ამართლებს პირის თავისუფლების აღკვეთას. ევროპული სასამართლოს მიდგომით, ხელისუფლების ორგანოებს ევალებათ, „შეამოწმონ იმ საჯარო ინტერესის არსებობის დამადასტურებელი ან საწინააღმდეგო ყველა გარემოება, რომელიც, უდანაშაულობის პრეზუმფციის გათვალისწინებით, ამართლებს გადახვევას ადამიანის თავისუფლების პატივისცემის ზოგადი წესიდან“.<sup>51</sup>

პატიმრობის შერჩევის შესახებ შუამდგომლობა სასამართლოს შეიძლება წარედგინოს ბრალდებულის მიმალვის შემთხვევაშიც, სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული წესით. აღნიშნულ შემთხვევაში დაპატიმრების შემდეგ ბრალდებული სავალდებულოა გამოძიების ადგილას მიყვანიდან არა უგვიანეს 48 საათისა უნდა წარედგინოს მაგისტრატ მოსამართლეს გამოძიების ადგილის მიხედვით. თუმცა ეს ვადა ფორსმაჟორული სიტუაციის არსებობის დროს, მაგალითად სტიქიური უბედურების დროს ან სხვა დაუძლეველი ძალის მოქმედებისას, აგრეთვე ბრალდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის მკვეთრი გაუარესების დროს (დადასტურებულია სამედიცინო ცნობით), რის გამოც შეუძლებელია ბრალდებულის წარდგენა შესაბამის სასამართლოში, შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 15 დღაც, ხოლო იმ შემთხვევაში თუკი ძებნილია ბრალდებული და უცხოეთში დააკავეს საქართველოში ჩამოყვანიდან არა უგვიანეს 48 საათისა ის უნდა წარედგინოს შესაბამის სასამართლოს. მოსამართლე მოისმენს მხარეთა განმარტებებს და შემდეგში კი იღებს

---

<sup>49</sup>საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 206-ე მუხ. მე-9 ნაწ. თბ., 2017, გვ. 167;

<sup>50</sup> ილიაკოვიზულგარეთისწინააღმდეგ, §85. „ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში“, შტეფანტრეესელი, თბ., 2009, გვ.583.

<sup>51</sup>SargiaandYagci v. Turkey, para. 50. იქვე, გვ. 582.



გადაწყვეტილებას აღკვეთის ღონისძიების გაუქმების, შეცვლის ანდა ძალაში დატოვების შესახებ.

„სასამართლო აცხადებს ამ მუხლით გათვალისწინებულ საკითხებზე გამოტანილი განჩინების სარეზოლუციო ნაწილს. თუ ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობაა გამოყენებული, მოსამართლე ზეპირად, მოკლედ განუმარტავს მხარეებს, თუ რა მტკიცებულებების საფუძველზე გამოიყენა მან აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა და რატომ მიიჩნია, რომ ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიებით აღკვეთის ღონისძიების მიზანი ვერ მიიღწეოდა.“<sup>52</sup>

შუამდგომლობის განხილვის პროცედურა: აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის გაუქმების შუამდგომლობის განხილვა ხორციელდება ერთნაირი პროცედურით.

ერთზე მეტი პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების მოთხოვნისას პროკურორს უფლება აქვს სასამართლოს მიმართოს ერთი შუამდგომლობით და სასამართლოსაც გამოაქვს ერთი განჩინება, მაგრამ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საფუძველები და დასაბუთება მოცემული უნდა იყოს თითოეულ ბრალდებულთან მიმართებით ცალ-ცალკე თითოეული მათგანის ინდივიდუალური მახასიათებლების და დანაშაულის ჩადენაში მათი როლის შესაბამისად.

შუამდგომლობის განხილვა შედგება ორი ეტაპისგან: 1) შუამდგომლობის დასაშვებობის შემოწმება; 2) შუამდგომლობის არსებითი განხილვა. დასაშვებობის სტადია უნდა გაიაროს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების შესახებ ნებისმიერმა შუამდგომლობამ იმისდა მიუხედავად, თუ რომელი მხარის მიერ არის შეტანილი.

შუამდგომლობის დასაშვებად/დაუშვებლად ცნობის თაობაზე სასამართლო ზეპირი განხილვის გარეშე იღებს გადაწყვეტილებას განჩინების ფორმით.

---

<sup>52</sup>სსსკ-ის 206-ე მუხ. მე-10 მე-11 ნაწ.გვ.168.

განჩინება შუამდგომლობის დაუშვებლად ცნობის შესახებ საჩივრდება სააპელაციო სასამართლოში გამოტანიდან 48 საათში.

შუამდგომლობის განხილვისათვის დაწესებული დროის სიმცირიდან გამომდინარე, მხარის ან მხარეთა(ერთდროულად ორივე მხარის, მათ შორის შუამდგომლობის ინიციატორი მხარის გამოუცხადებლობაც კი) გამოუცხადებლობა არ წარმოადგენს შუამდგომლობის განხილვის დამაბრკოლებელ გარემოებას და არ იწვევს განხილვის გადადებას.

სასამართლოს უფლება აქვს, მაგრამ ვალდებული არ არის დააკმაყოფილოს მხარის შუამდგომლობა სხდომის მცირე ხნით გადადების შესახებ (მაგალითად, პროკურორის/ადვოკატის შუამდგომლობა, რომ საცობიშია და ითხოვს სხდომის გადადებას 30 წუთით). ნებისმიერ შემთხვევაში, გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ შუამდგომლობა განხილული უნდა იქნეს მისი წარდგენიდან 24 საათში.

24-საათიანი ვადა მოიცავს შუამდგომლობის დასაშვებობის საკითხის, მისი არსებითი განხილვის დაწყებას და დასრულებას და შესაბამისი გადაწყვეტილების გამოცხადებასაც. 24- საათიანი ვადის ათვლა იწყება შუამდგომლობის წარდგენიდან. შუამდგომლობა წარდგენილად ითვლება კანცელარიაში მისი რეგისტრაციის თარიღიდან (რიცხვის, საათის და წუთის მითითებით).

აღკვეთის ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას სასამართლომ პირველ რიგში უნდა შეამოწმოს პირის მიმართ სისხლისამართლებრივი დევნის მატერიალური და საპროცესო კანონიერება, მათ შორის, სამსახურეობრივი ან დიპლომატიური იმუნიტეტის არსებობა. პროცესის მწარმოებელი ორგანოს უფლებამოსილება(ქვემდებარეობა/განსჯადობა), ქმედებაში დანაშაულის ნიშნების და პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებების არსებობა (მაგალითად, ასაკი, შერაცხაობა, სპეციალური სუბიექტის არარსებობა და ა.შ.).თუმცა სასამართლო ამ ეტაპზე არ მსჯელობს პირის ბრალეულობაზე.

როდესაც სასამართლო ადგენს ბრალდებულის ქმედებაში სსკ-ით გათვალისწინებული ქმედების არ არსებობას, ის უარს აცხადებს აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე (მაგრამ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების გასაჩივრების წესით გაუქმების შემთხვევაში არ ახდენს სსსკ-ის 105-ემუხლის საფუძველზე სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტას).

სასამართლო უნდა დარწმუნდეს პირის მიერ დანაშაულის ჩადენის შესახებ დასაბუთებული ვარაუდისათვის წარმოდგენილი მტკიცებულებების საკმარისობაში, გადაამოწმოს პირის პასუხისგებაში მიცემისას საპროცესო კანონმდებლობის არსებითი დარღვევის არსებობა. მაგრამ ბრალდებულის ბრალეულობის საკითხის განხილვაში შესვლის უფლება ამ ეტაპზე არ შეუძლია. ამდენად, სასამართლომ უნდა შეამოწმოს:

- 1) ბრალდებულისთვის შერაცხული ქმედება რამდენად შეიცავს დანაშაულის ნიშნებს;
- 2) შერაცხული დანაშაული მიეკუთვნება თუ არა იმ კატეგორიას, რომლისთვისაც დაიშვება შუამდგომლობაში მითითებული აღკვეთის ღონისძიების გამოყენება (მაგალითად, სამხედრო სარდლობის მეთვალყურეობაში გადაცემისას სამხედრო მოსამსახურეა თუ არაბრალდებული, პატიმრობისას შერაცხული დანაშაული ითვალისწინებს თუ არა 2 წლით თავისუფლების აღკვეთას და ა.შ.);
- 3) აღკვეთის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა საფრთხეების ნეიტრალიზაციისათვის;
- 4) პრევენციული მიზნებისათვის ვარგისი კონკრეტული სახის აღკვეთის ღონისძიების იდენტიფიცირება.

მხარეთა თანასწორუფლებიანობა არ არის დაცული, როდესაც დამცველს ხელი არ მიუწვდება გამოძიების მასალებში არსებულ იმ დოკუმენტებზე, რომლებიც აუცილებელია მისი კლიენტის დაპატიმრების კანონიერების ეფექტიანი გასაჩივრებისთვის. ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ცალკეულ შემთხვევებში სისხლის სამართლის საქმის გამოიების ეფექტიანად განხორციელება შესაძლებელია გულისხმობდეს შეგროვებული ინფორმაციის ნაწილის საიდუმლოდ შენახვას ბრალდებულის მხრიდან მტკიცებულებათა განადგურებისან

მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის პრევენციისთვის. თუმცა ამ ლეგიტიმური მიზნის განხორციელება არ უნდა მოხდეს დაცვის უფლების მნიშვნელოვანი ან/და არსებითი შეზღუდვის ხარჯზე. შესაბამისად, ინფორმაცია რომელიც აუცილებელია პირის დაპატიმრების კანონიერების შეფასებისათვის ჯეროვანი წესით ხელმისაწვდომი უნდა იყოს დაცვის მხარისათვის.

შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე, დაცვის მხარეს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს გაეცნოს შუამდგომლობას აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ და საქმის მასალებს. სასამართლოს ხდომილება არ ხდება დეტალურად მტკიცებულებათა გამოკვლევა/მოწმეთა დაკითხვა, მაგრამ საქმეში არსებული მასალები, რომლებსაც ეყრდნობა ბრალდების მხარე გამოქვეყნებული უნდა იყოს. დაცვის მხარეს უფლება აქვს წარმოადგინოს მტკიცებულებები, რომლებიც მიუთითებს აღკვეთის ღონისძიების საერთოდ გამოყენების მიზანშეუწონლობაზე ან ნაკლებად მკაცრი ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობაზე.

სსსკ-ის 206-ე მუხლი ითვალისწინებს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ შუამდგომლობის შემჭიდროებულ ვადებში განხილვის ვალდებულებას. აღნიშნულის მიუხედავად, ვინაიდან, როგორც წესი, დაცვის მხარისათვის სხდომის დაწყებამდე უცნობია ბრალდების მხარის შუამდგომლობის შინაარსი, სასამართლო შესაძლებლობას აძლევს დაცვის მხარეს გაეცნოს შუამდგომლობას. თუმცა განხილვის შემჭიდროებული ვადებიდან გამომდინარე შუამდგომლობის გაცნობის შემდეგ დაცვის მხარე მოკლებულია პროაქტიური დაცვის განხორციელებას და, როგორც წესი, შემოიფარგლება ე.წ. პასიური დაცვის ტაქტიკით (აღნიშნული არ გამორიცხავს დაცვის მხარის შესაძლებლობას მოგვიანებით სსსკ-ის 206-ე მუხლის საფუძველზე მიმართოს სასამართლოს აღკვეთის ღონისძიების შეცვლის/ გაუქმების შუამდგომლობით, თუმცა ამ შემთხვევაში ეკისრება ახალი გარემოების წარმოდგენის ვალდებულება).<sup>53</sup>

---

<sup>53</sup>ავტ. კოლ., საქართველოსსისხლისსამართლისპროცესისკომენტარი, თბ., 2015, გვ. 619-623.

შუამდგომლობის არსებითად განმხილველ ზეპირ სხდომას ხსნის მოსამართლე შემდეგ კი აცხადებს, თუ რომელი შუამდგომლობა განიხილება, ჩამოთვლის პროცესის მონაწილეებს და გამოარკვევს არსებობს თუ არა აცილებები. აცილების არსებობის შემთხვევაში ინიციატორი მხარე ასაბუთებს მას. შემდეგ სიტყვა ეძლევა მოწინააღმდეგე მხარეს, ხოლო აღნიშნულის მხარეები უკვე უფლებამოსილი არიან ერთმანეთს დაუსვან შეკითხვები.

შუამდგომლობის განხილვა მიმდინარეობს სსსკ-ის 206-ე მუხლით გათვალისწინებული სტანდარტული პროცედურით, რაც გულისხმობს, რომ მოცემული სასამართლო სხდომის ფარგლებში მოსამართლე გარკვეულწილად ითავსებს სხდომის მდივნის ფუნქციებს და თავად ასახელებს პროცესის მონაწილეებს (ასევე, პროცესში მონაწილე თარჯიმნის ვინაობას და აფრთხილებს მას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ), არკვევს აცილების არსებობის საკითხს. შემდეგ სიტყვას აძლევს ჯერ ინიციატორ მხარეს, შემდეგ მოწინააღმდეგე მხარეს (თუ სხდომას ესწრება როგორც ბრალდებული, ასევე ადვოკატიც, სასამართლოს უფლება აქვს ორივე მათგანს მისცეს შესაძლებლობა საკუთარი მოსაზრებების წარმოსადგენად), ხოლო დასასრულს, მხარეებს შესაძლებლობა აქვთ ერთმანეთს დაუსვან შეკითხვები. მოცემულ შემთხვევაში მოწმეთა დაკითხვა, დასკვნითი სიტყვები და რეპლიკა არ გამოიყენება. აღნიშნული არ გამორიცხავს არც ერთი მხარის შესაძლებლობას საკუთარი პოზიციის დასაბუთებისათვის წარადგინოს მტკიცებულება. მაგალითად, დაცვის მხარემ დააყენოს შემხვედრი შუამდგომლობა და ითხოვოს ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენება მხოლოდ 5000 ლარის ოდენობით და წარმოადგინოს ცნობა ბრალდებულის ოჯახის ქონებრივი მდგომარეობის შესახებ, რაც მიუთითებს უფრო მაღალი ოდენობის გირაოს გამოყენების შემთხვევაში მისი გადახდის ობიექტურად შეუძლებლობაზე. დაცვის მხარემ წარადგინოს ექსპერტის დასკვა, რომლის თანახმად არ

დასტურდება იმ ვიდეოფირის ავთენტიკურობა, რომელზეც ასახულია საზღვრის არალეგალურად გადაკვეთის მცდელობისას ბრალდებულის დაკავება.

„მოსამართლეს შუამდგომლობის განხილვისას უფლება აქვს: ა. დააკმაყოფილოს შუამდგომლობა; ბ. უარი თქვას აღკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე; გ. სათანადო საფუძვლის მითითებით უარყოს შუამდგომლობაში აღნიშნული აღკვეთის ღონისძიება და ბრალდებულის მიმართ გამოიყენოს სხვა, მაგრამ ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიება.“<sup>54</sup> განჩინებაში, სსსკ-ის 206-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული საკითხების გარდა, ასევე სავალდებულო წესით უნდა მიეთითოს: 1) საპროცესო კანონის მოთხოვნათა დაცვის შესახებ ბრალდებისას, მტკიცებულებათა მოპოვების და დამაგრებისას; 2) აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ფაქტობრივი საფუძველები; 3) აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ფორმალური საფუძველები; 4) რატომ ვერ უზრუნველყოფს უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიება სსსკ-ის 198-ე მუხლით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.<sup>55</sup>

სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგია აღნიშნავს, რომ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საპროცესო და ფაქტობრივი საფუძველების შემოწმების შემდგომ, მოსამართლემ აუცილებლად უნდა იმსჯელოს კონკრეტული აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მიზანშეწონილობაზე და გადაწყვიტოს კონკრეტულ შემთხვევაში თუ რომელი აღკვეთის ღონისძიება უკეთ უზრუნველყოფს ბრალდებულის სათანადო ქცევას გამომიებისა და აგრეთვე საქმის სასამართლოში განხილვის დროს. აღკვეთის ღონისძიების მიზნების მიღწევა - ის რომ ბრალდებულმა თავი არ აარიდოს სასამართლოში გამოცხადებას, რომ ბრალდებულის მხრიდან აღკვეთის შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა, უზრუნველყოფილ იქნეს განაჩენის აღსრულება, შესაძლებელია სხვადასხვა სახის აღკვეთის

<sup>54</sup>ავტ. კოლ., საქართველოს სისხლის სამართლის პროცესის კომენტარი, თბ., 2015, გვ. 623.

<sup>55</sup>იქვე, გვ. 623;

ღონისძიებებით, რომელთაგან მოსამართლემ უნდა შეარჩიოს ყველაზე უფრო რელევანტური ღონისძიება.<sup>56</sup>

განსაკუთრებით საყურადღებოა და მნიშვნელოვანი ევროპული სასამართლოს მიდგომა პირის თავისუფლების დაცვაში სასამართლოს როლზე. ამ მხრივ საყურადღებოა რამდენიმე საქმე, მათ შორის, ერთ-ერთი მხარე რომელიც საქართველოს წინააღმდეგ იყო რომელშიც სასამართლომ აღინიშნა: „ევროპული სასამართლო განსაკუთრებულ წუხილს გამოთქვამს საქართველოს ეროვნული სასამართლოს მიერ წინასწარი პატიმრობის შეფარდებასთან ... და გამოტანილ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რომელიც მიღებულ იქნა წინასწარ შემუშავებული სტანდარტული ბრძანების ფორმით. იმის ნაცვლად, რომ ეროვნულ სასამართლოს განეხორციელებინა თავისი მოვალეობა და მოეძიებინა მყარი არგუმენტაცია წინასწარი პატიმრობის გასამართლებლად, სასამართლო დაეყრდნო და შემოიფარგლა პატიმრობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების წინასწარ შემუშავებულ და წინასწარ დაბეჭდილ ზოგად ნიმუშში ჩაწერილი აბსტრაქტული დებულებებით. ხსენებული პრაქტიკა პირდაპირ მიუთითებს ხელისუფლების ეროვნული ორგანოების მიერ საკითხის განხილვის შესაბამისი გულმოდგინების არარსებობაზე, რაც წინააღმდეგობაში მოდის ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის სულისკვეთებასთან“.<sup>57</sup>

სასამართლომ უნდა შეაფასოს საქმის ირგვლივ არსებული საერთო მდგომარეობა, რათა პასუხი გასცეს ორ კითხვას: 1. სახეზე არის თუ არა ამ კონკრეტული პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ფორმალური (მტკიცებულებების მოპოვების დროს არ დარღვეულა საპროცესო ნორმა, რაც ამ მტკიცებულების გაუქმებას გამოიწვევდა) და ფაქტობრივი საფუძველი (სასამართლომდე მოტანილი მტკიცებულებები საკმარისია, რათა დავასკვნათ, რომ პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების

<sup>56</sup>თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის განჩინება, საქმე №1/გ-621.

<sup>57</sup> ნ. ხაინდრავა, ბ. ბოხაშვილი, თ.ხიდაშელი, წინასწარი პატიმრობის შეფარდებასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა სამართლის ანალიზი, 2010, გვ. 15;

გამოყენება აუცილებელია); 2. სახეზე არის თუ არა ამ კონკრეტული პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების ყველაზე მკაცრი სახის - პატიმრობის გამოყენების აუცილებლობა.<sup>58</sup>

აღკვეთის ღონისძიების სახით ბრალდებულის მიმართ გამოყენებული პატიმრობის გადასინჯვისას, სასამართლოებმა უნდა განსაზღვრონ პატიმრობის შეცვლაზე უარის თქმის საფუძვლის არსებობა. განჩინებაში უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლომ შეისწავლანა კლებად მკაცრი ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობა და განჩინებაში მითითებული მიზეზების გამო (უნდა დასახელდეს და დასაბუთდეს კონკრეტული მიზეზები), მიიჩნია, რომ არ იქნება საკმარისი სსსკ-ის 198-ე მუხლში მითითებული მიზნების მისაღწევად. როდესაც თითქმის ყველა მტკიცებულება მოპოვებულია და გამოძიების ხელთ იმყოფება, ბრალდებული აღიარებს დანაშაულს და მან თავად შეუწყო ხელი სამართალდამცავებს მტკიცებულებათა მოპოვებაში, მიზან შეწონილია არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიების გამოყენება.

განჩინებაში მოსამართლემ სხვა საკითხებთან ერთად უნდა მიუთითოს განჩინების არსი და ვისზე ვრცელდება იგი. აღნიშნულს დამატებით იმნიშვნელობა ენიჭება სსსკ-ის 199-ემუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ღონისძიებების გამოყენებისას, როდესაც მკაფიოდ უნდა განისაზღვროს თითოეული ღონისძიების შინაარსი, მაგალითად, სახელმწიფო ორგანოში ყოველკვირეულად ან სხვა პერიოდულობით გამოცხადებისა და ანგარიშგების ვალდებულების დაკისრებისას სასამართლომ ნათლად უნდა განსაზღვროს კონკრეტულად რომელ სახელმწიფო ორგანოში, როგორი პერიოდულობით (მაგალითად, ყოველითვის პირველ რიცხვში) უნდა გამოცხადდეს ბრალდებული და რა სახის/რის შესახებ/როგორი ფორმით ანგარიშგების ვალდებულება ეკისრება მას.

---

<sup>58</sup>ხარვეზები და რეკომენდაციები სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში, თბ., 2011, თავი III.



სასამართლომ ასევე უნდა მიუთითოს ის თანამდებობის პირი/ორგანო, რომელიც ვალდებულია შეასრულოს შესაბამისი განჩინება. აღნიშნული პირის იდენტიფიცირების შემთხვევაში მხედველობაში უნდა მიიღოს იმ პირის სამსახურებრივი უფლებამოსილების ფარგლები, რომელსაც განჩინებითეკისრება აღკვეთის ღონისძიების აღსრულების უზრუნველყოფა. თუ აღნიშნული სცდება მისი კომპეტენციის ფარგლებს, განჩინების მიუხედავად ის მოკლებული იქნება მასზე დაკისრებული მოვალეობის ფაქტობრივად განხორციელების შესაძლებლობას.

შუამდგომლობის განხილვის შედეგად გამოტანილი განჩინების ასლი მხარეებს უნდა ჩაბარდეს გადაწყვეტილების გამოცხადებისთანავე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღნიშნული შეუძლებელია გარკვეული ობიექტური მიზეზების გამო.<sup>59</sup>

206-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული გადაცემა, გულისხმობს როგორც განჩინების ასლის უშუალოდ გადაცემას მოსამართლის თანაშემწის მეშვეობით, ასევე მის გაგზავნას შესაბამისი პირებისათვის კანონით განსაზღვრული საშუალებით. გადაცემა დასტურდება შესაბამისი პირისხელწერილით, რომელშიც აღინიშნება გადაცემის დრო და დაერთვის სასამართლოწარმოების მასალებს. თუ მე-7 ნაწილში მითითებულ პირებს ასლი უშუალოდ არ ბარდება, მაშინ მასალებს დაერთვის უფლებამოსილი პირისთვის აღნიშნული განჩინების ასლის გადაცემის დამიმართვის დამადასტურებელი საბუთი. აღნიშნული საბუთების დართვა საქმეზე მნიშვნელოვანია, ვინაიდან მოგვიანებით მხარემ შეიძლება გაასაჩივროს, რომ მას შეეზღუდა განჩინების გასაჩივრების უფლება, ვინაიდან განჩინების ასლი მას დაგვიანებით გადაეცა, რის გამოც ვერ მოასწრო საქმის მასალების შესწავლა და განჩინების სააპელაციო წესით გასაჩივრება სასამართლოში.

სსსკ-ითვალისწინებს განჩინების ასლის გადაცემის ვალდებულებას დაცვის მხარის ერთ-ერთი წარმომადგენლისთვის ან დამცველის ან

---

<sup>59</sup>ავტ. კოლ., საქართველოს სისხლის სამართლის პროცესის კომენტარი, თბ., 2015, გვ. 624.

ბრალდებულისთვის. ის თუ კონკრეტულად ვის გადაეცემა ასლი დამოკიდებულია საქმის კონკრეტულ გარემოებებზე. მაგალითად, თუ საქმის განხილვას ესწრებოდა მხოლოდ ადვოკატი, მაშინ ადვოკატს, თუ განხილვას ესწრებოდა ადვოკატიც და ბრალდებულებაც, მაშინ სასამართლოს გადაწყვეტილებით ერთ-ერთმათგანს (მკაფიო მითითების არ არსებობის მიუხედავად, სასურველია ასლის გადაცემა ბრალდებულისთვის, ვინაიდან: 1) დაცვის უფლება პირველ რიგში ეკუთვნის ბრალდებულს და მისი უფლებების დაცვას ემსახურება; 2) არ არის გამორიცხული, რომ შეიცვალოს ადვოკატი და ძველმა ადვოკატმა დაკარგოს/დაავიწყდეს/დაავიანოს და ა.შ. აღნიშნული დოკუმენტის გადაცემა ბრალდებულის/ახალი ადვოკატისთვის.<sup>60</sup>

სსსკ-ი ითვალისწინებს სავალდებულო წესით მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილის საჯაროდ გამოცხადის ვალდებულებას, მაგრამ განჩინების საფუძვლების მოკლედ ზეპირად განმარტების ვალდებულება სასამართლოს ეკისრება მხოლოდ პატიმრობის გამოყენების შემთხვევაში. შესაბამისად, სასამართლო ვალდებულია მხარეებს განუმარტოს: 1) რა მტკიცებულებების საფუძველზე მიიღო აღნიშნული გადაწყვეტილება (ჩამოთვალოს რომელმ ტკიცებულებებს დაეყრდნო); 2) რატომ მიიჩნია პატიმრობა *ultimaracio*-დ.

ბრალდებულის დაკავების შემთხვევაში, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შუამდგომლობით სასამართლოსთვის მიმართვის 24-საათიანი ვადა აითვლება პირის ფაქტობრივი დაკავების მომენტიდან და არა დაკავების ოქმის, ან დაკავებულის გამოძიების ორგანოში მიყვანის მომენტიდან.<sup>61</sup>

მიმალვაში მყოფი ბრალდებულის მიმართ დაუსწრებლად აღკვეთის ღონისძიების გამოყენება არ ეწინააღმდეგება სასამართლოს ხელმისაწვდომობის/სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებას, ვინაიდან სსსკ-ის 206-ე მუხლის მე-10 ნაწილი ითვალისწინებს პირის

<sup>60</sup>ავტ. კოლ., საქართველოს სისხლის სამართლის პროცესის კომენტარი, თბ., 2015, გვ. 625.

<sup>61</sup>იქვე, გვ. 625.

დაპატიმრებიდან 48 საათში მის წარდგენას მაგისტრატ მოსამართლესთან. მიმალვაში მყოფი ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენება დაკავშირებულია 2 თავისებურებასთან: 1) ბრალდებულის სასამართლოსწინაშე წარდგენამდე კანონმდებლობით ნებადართული ვადის ხანგრძლივობა; 2) ძეხნილი ბრალდებულის მიმართ სასამართლო განხილვის თავისებურება.

დაკავების ორდინალური შემთხვევებისგან განსხვავებით, მიმალვაში მყოფი ბრალდებულის მოსასამართლის წინაშე წარდგენის ვადა შესაძლებელია სსსკ 206-ე მუხლის მე-10 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში გახანგრძლივდეს მხოლოდ ორ შემთხვევაში: 1) დაუძლეველი ძალის მოქმედებისას (მაგალითად, სტიქიური უბედურება, გადატრიალება, ფართომასშტაბიანი არეულობა, საომარი მოქმედებები და სხვა, რაც ობიექტურად შეუძლებელს ხდის პირის სასამართლოში წარდგენას), ან 2) ბრალდებულის ჯანმრთელობის გაუარესება - სსსკ-ით ვადის გახანგრძლივება დაიშვება ჯანმრთელობის მხოლოდ ისეთი მკვეთრი გაუარესება, რაც პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის ბრალდებულის სასამართლოში წარდგენას (ან ჯანმრთელობის ისეთი გაუარესება, როდესაც ბრალდებულის სასამართლოში წარდგენამ შესაძლებელია გამოიწვიოს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შეუქცევადი ან არსებითი დამძიმება). თუმცა, აღნიშნული მდგომარეობა არ არის საჭირო აუცილებლად უკავშირდებოდეს ბრალდებულისთვის ინტენსიური თერაპიული ან გადაუდებელი სტაციონარული მკურნალობის განხორციელებას. კიდურების მოტეხილობა, დაჟეჟილობა, ტვინის მსუბუქი შერყევა (რაც არ უკავშირდება სავალდებულო წესით წოლით რეჟიმს), რესპირატორული დაავადება, მსუბუქი ინტოქსიკაცია, ვირუსული ინფექცია და სხვა არ იწვევს ვადის გახანგრძლივებას, თუნდაც აღნიშნული ფაქტი დადასტურებული იყოს სამედიცინო ცნობით. ვადის გახანგრძლივება დაიშვება მხოლოდ ჯანმრთელობის მკვეთრი გაუარესების შემთხვევაში (მაგალითად, მიოკარდის შეტევა, კრუნჩხვები, ინსულტი და

ა.შ.), როდესაც პირის სასამართლოში წარდგენა წარმოადგენს პირდაპირ უკუჩვენებას მისი ჯანმრთელობის მდგომარეობისთვის ბრალდებულის მდგომარეობის სტაბილიზაციამდე და არა გამოჯანმრთელებამდე ვადით. ამასთან, ბრალდებულის ჯანმრთელობის მკვეთრი გაუარესება დადასტურებული უნდა იყოს სამედიცინო ცნობით.<sup>62</sup>

მეზღვრული ბრალდებულის მოსამართლის წინაშე წარდგენისას აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საკითხის განხილვისას სასამართლო მხოლოდ ისმენს მხარეთა განმარტებებს, რის შემდეგაც პირდაპირ გამოაქვს გადაწყვეტილება, მხარეებისთვის კამათის შესაძლებლობის მინიჭების ვალდებულების გარეშე (შეადარეთ სსსკ-ის 206-ე მუხლის მე-3 და მე-10 ნაწილები).

სსსკ ადგენს განსხვავებულ ვადებს აღკვეთის ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებული შუამდგომლობის განხილვისათვის. კერძოდ: 1) აღკვეთის ღონისძიების თავდაპირველად გამოყენების შესახებ შუამდგომლობის განხილვის ვადას წარმოადგენს მისი წარდგენიდან 24 საათი; 2) შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების შესახებ ჩვეულებრივ განხილული უნდა იქნეს საერთო წესის შესაბამისად. ანუ სისხლის სამართლის კოდექსის 206-ე მუხლი ადგენს 24-საათიან ვადას, მხოლოდ შუამდგომლობის დასაშვებობის საკითხის განხილვა გადაწყვეტისათვის და არა შუამდგომლობის არსებითად გადაწყვეტისათვის.

დასაშვებად მიჩნეული შუამდგომლობის განხილვისათვის გამოიყენება საერთო წესები. თუმცა ჩამოყალიბებული ადმინისტრაციული პრაქტიკა სსსკ-ის 206-ე მუხლის მე-3 და მე-8 ნაწილებით განსაზღვრული ვადას იდენტურ შინაარსის ანიჭებს, რაც გულისხმობს, რომ როგორც აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე შუამდგომლობის, ისე გამოყენებული

---

<sup>62</sup>ავტ. კოლ., საქართველოს სისხლის სამართლის პროცესის კომენტარი, თბ., 2015, გვ. 625.

აღკვეთის ღონისძიების შეცვლის ან გაუქმების შესახებ შუამდგომლობის განხილვა უნდა მოხდეს 24-საათიანი ვადის განმავლობაში.<sup>63</sup>

### **3.1. სასამართლო პრაქტიკა და განჩინების დასაბუთებულობა**

აღკვეთის ღონისძიების სახედ პატიმრობის განსაზღვრა, როგორც უკვე აღინიშნა უკიდურეს შემთხვევაში ხდება, ამ საკითხთან დაკავშირებით სასამართლოს თითქმის ერთგვაროვანი მიდგომა აქვს, რის შესახებაც ამ ქვეთავში მოყვანილი იქნება შესაბამისი სასამართლო გადაწყვეტილებები და სასამართლოს მსჯელობა აღკვეთის ღონისძიების სახედ პატიმრობის შეფარდების გადაწყვეტილების ირგვლივ.

პირველ ყოვლისა, უნდა ითქვას რომ აღკვეთი ღონისძიების გადაწყვეტილების გასაჩივრების დროს საჩივრის არსებითად განხილვამდე, სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგია ზეპირი მოსმენის გარეშე ამოწმებს და წყვეტს აღკვეთის ღონისძიებასთან დაკავშირებული საჩივრის დასაშვებობის საკითხს. საჩივარი დასაშვები იქნება მაშინ, თუ სახეზეა გასაჩივრებული გადაწყვეტილების დებულებათა მცდარობა ან არსებული მოთხოვნების დარღვევა მისი მიღებისას ანდა საჩივარში მითითებულია არსებითი მნიშვნელობის მქონე საკითხსა და მტკიცებულებაზე, რომელიც არ გამოიკვლია ანდა არ შეაფასა პირველი ინსტანციის სასამართლომ, რომელიც გავლენას მოახდენდა პირისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მართლზომიერებაზე. საჩივრის დასაშვებობის თაობაზე მოსამართლეს გამოაქვს შესაბამისი განჩინება. აღნიშნულ ქვეთავში ასევე საუბარი იქნება სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის იმ გადაწყვეტილებებზე, სადაც სასამართლომ დაუშვებლად სცნო საჩივარი აღკვეთის ღონისძიების გასაჩივრების თაობაზე.

მნიშვნელოვანია თბილისის სააპელაციო სასამართლოს 03 დეკემბერი, 2014 წელი საქმე საქმე №1 გ/ 1226, სადაც პროკურორი ბრალდებული ვ. ტ-ის მიმართ ითხოვდა აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული

---

<sup>77</sup>თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის საქმე № 1 გ / 1483 – 17

პატიმრობის ძალაში დატოვებას, რაც სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა და განმარტა, შემდეგი როდესაც ბრალდებული თავს არიდებს სამართალდამცავ ორგანოში გამოცხადებას, აგრეთვე არ ცხადდება ( როგორცმან განმარტა) პრობაციის ბიუროში, სადაც აღრიცხვაზე იმყოფებოდა პირობითი მსჯავრის ქვეშ. ზემოაღნიშნულ შემთხვევაში სახეზე იყო არა მიმალვის საფრთხე არამედ უშუალოდ მიმალვა, მიმალვის საფრთხე რაც ნორმის თანახმად იყო საფუძველი პატიმრობის, აღკვეთის ღონისძიების თუმცადა, მიმალვაში მყოფი პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებისას ვერ ექნება სათანადო შემაკავებელი ეფექტი მომავალში მიმალვის თავიდან ასაცილებლად, სასამართლომ მისი განაჩენის დასაბუთებისთვის მოიშველია Punzeltv . the Czech Republic , 3131 5/96 , 2000 წლის 25 აპრილის ევროსასამართლოს გადაწყვეტილება, სასამართლომ კი „მიმალვის საფრთხე შეაფასა დაპატიმრების გამოყენებისთვის საკმარისად და განმარტა, რომ ბრალდებულის მიერ მართლმსაჯულებისთვის თავის არიდება ადრინდელი ფაქტის არსებობის საფუძველით.“<sup>76</sup> მსგავსი დასაბუთება - მიმალვის საფრთხე აბსოლუტურად რეალური იყო და ამდენად რელევანტურიც. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ახალი დანაშაულის ჩადენის მიმანიშნებელ გარემოებებად მიიჩნევს აგრეთვე სავარაუდო სამართალდარღვევის ხასიათსა და სიმძიმეს, ნასამართლობას და ბრალდებულის პიროვნულ მახვენებლებს. სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიას ჰქონდა შემდეგი მიდგომა, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საპროცესო და ფაქტობრივი საფუძველების შემოწმების შემდგომ, მოსამართლემ უნდა იმსჯელოს კონკრეტული აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მიზანშეწონილობაზე და გადაწყვიტოს თუ რომელი აღკვეთის ღონისძიება უფრო უკეთ უზრუნველყოფს ბრალდებულის სათანადო ქცევას საქმის გამოძიებისა და სასამართლოში განხილვის სტადიებზე. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 03

დეკემბერი, 2014 წელი საქმე საქმე №1 გ/ 1226 შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა, უზრუნველყოფილ იქნეს განაჩენის აღსრულება. ამდენად სხვადასხვა სახის აღკვეთის ღონისძიებებით მოსამართლემ უნდა შეარჩოს ყველაზეუფრო რელევანტური ღონისძიება.<sup>78</sup>

თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის საქმე № 1 გ / 1483 – 17, სადაც ბრალდებულ ვ. გ. - ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობის გადასინჯვასთან (ძალაში დატოვებასთან) დაკავშირებით და გასაჩივრებული განჩინების გაცემისას მოსამართლემ განიხილა პატიმრობის ძალაში დატოვების საკითხი, მოუსმინა პროცესის მონაწილეებს, გააანალიზა საქმის მასალები, სადაც გამოიკვლია გამოყენებული პატიმრობის ძალაში დატოვების, როგორც ფაქტობრივი, ისე ფორმალურ საფუძველთა არსებობა და მიიჩნია, რომ მიზანშეწონილი იყო ბრალდებულ ვ. გ.-ს პატიმრობაში დატოვება.

აღნიშნული გადაწყვეტილების მასალების მიხედვით, მოსამართლის მიერ შემოწმებულია ვ. გ.-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების ძალაში დატოვების თაობაზე მხარეთა მოთხოვნების დასაბუთებულობა და გამოძიების დროს საპროცესო მოქმედებათა კანონშესაბამისობის საკითხი. ასევე განიხილა საქართველოს სსსკ-ის 208-ე მუხლის მე-4 ნაწილისა და 206-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით და გამოარკვია, რომ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების შემდეგ, საქმეზე ისეთ გარემოებათა გამოვლენას, რაც ბრალდებულ ვ. გ.-ს მიმართ მისი გაუქმების ან გირაოთი შეცვლის აუცილებლობას შეიძლება იწვევდეს, ადგილი არ ჰქონია.

გასაჩივრებული განჩინების მიხედვით, ბრალდებულ ვ. გ.-ს მიმართ პატიმრობის ძალაში დატოვების საკითხის გადაწყვეტისას, სასამართლომ მიუთითა, რომ დაცვის მხარეს სასამართლოსთვის არ წარუდგენია არსებითი მნიშვნელობის მქონე ისეთი მასალა, რაც შეძლებდა, რომ რაიმე ზეგავლენა მოეხდინა ბრალდებულის მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების მართლზომიერების შეფასებაზე. უნდა აღინიშნოს, რომ ვ. გ.-ს

ბრალად ედება განზრახი, ოჯახის წევრის წინააღმდეგ მიმართული ძალადობრივი დანაშაულის ჩადენა. საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება, არ დასრულებულა საქმეზე მტკიცებულებათა მოპოვება-დამაგრების პროცესი. ამიტომ დაზარალებული მიეკუთვნება მოწყვლად პირთა კატეგორიას. ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე რელევანტურად შეაფასა და განმარტა, რომ პატიმრობა კვლავ წარმოადგენს მართლმსაჯულების განხორციელების საფრთხის პრევენციის ერთადერთ უალტერნატივო საშუალებას. ამასთან ერთად დაცვის მხარეს არ წარმოდგენია ინფორმაცია ახალი გარემოებების შესახებ, რაც დაასაბუთებს ბრალდებულ ვ. გ.-ს მიმართ გამოყენებული პატიმრობის უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიებით შეცვლის საფუძვლიანობას. სასამართლოს აზრით კვლავ სახეზეა ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის ძალაში დატოვების საფუძვლები, არ არის აღმოფხვრილი ის საფრთხეები, რაც არსებობდა აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეფარდების დროს. აღკვეთის ღონისძიების სახედ პატიმრობის გამოყენების შემთხვევაში საგულისხმოა შემდეგი გარემოება, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208 მუხლის მე-4 ნაწლის თანახმად წინასასამართლო სხდომის თარიღის განსაზღვრის შემდეგ, სასამართლო ვალდებულია, რომ განიხილოს ბრალდებულის პატიმრობის ძალაში დატოვების საკითხი და განსაზღვროს რამდენად მიზანშეწონილია პატიმრობა. უნდა აღინიშნოს ისიც რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 206 მუხლის მე-8 ნაწილისგან განსხვავებულად, სასამართლო არ მსჯელობს მხარეთა მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობების დასაშვებობაზე, სასამართლო პირდაპირ აფასებს აღნიშნულ შემთხვევაში მხადის შუამდგომლობის დასაბუთებულობა შეიცავს თუ არა პატიმრობის შეცვლის ისეთ არგუმენტაციასდა ისეთ ახალ, არსებითი მნიშვნელობის მქონე საკითხებს ან წარმოდგენილია თუ არა ისეთი რომლებიც შეძლება მიუთითებდეს გამოყენებული პატიმრობის შეცვლის ან გაუქმების შესაძლებლობაზე.



სწორედ ამ თემის ირგვლივ სააპელაციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში განმარტა, რომ პატიმრობის დატოვების საკითხის განხილვის დროს, მხარის მიერ დასმული საკითხები და წარმოდგენილი მტკიცებულებები ადვილი შესაძლებელია შეიცავდეს ახალ ინფორმაციას და გარემოებას, რომელიც ვერ იქნებოდა მსჯელობის საგანი აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებისას, თუმცადა ახალი გარემოებები ეჭვგარეშეა რომ უნდა გაითვალისწინოს მაგისტრატმა მოსამართლემ თუკი მათი შეფასების შემდეგ სასამართლოს აშკარად ექმნება პატიმრობის შეცვლის ან გაუქმების მიზანშეწონილობის წინაპირობები. ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით ამავე საქმეში თბილისის სააპელაციო სასამართლომ ოს საგამომიებო კოლეგიის საქმე № 1 გ / 1483 – 17 საგამომიებო კოლეგიამ შეაფასა შემდეგი, მართლაც დაცვის მხარემ წარმოადგინა ინფორმაცია და დოკუმენტები, რომელიც განხილულია ბრალდებული ვ.გ-ის აღკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების მაგრამ ეს მტკიცებულებები რალურადაც ვერ მოახდენდა გავლენას პატიმრობის ძალაში დატოვების მიზანშეწონილობაზე. რადგანაც ის არ მიუთითებდა, საფრთხეებისა და რისკების შემცირებაზე, რომელთა არსებობაც საფუძვლად დაედო ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების განსაზღვრას.

ასევე მნიშვნელოვანია შემდეგი საქმე სადაც პირველი ინსტანციის სასამართლომ გადაწყვეტილება ბუნდოვანი და არაგანჭვრეტადი იყო, თბილისის სააპელაციო სასამართლომ საგამომიებო კოლეგიის საქმე №1გ/895-17, ბრალდებულების გ. გ.-ს და დ. ლ.-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების გირაოს გამოყენების შესახებ თეთრიწყაროს რაიონული სასამართლომ 2017 წლის 23 ივნისის განჩინებაზე პროკურორის საჩივრის დასაშვებობის საკითხი სადაც პროკურორი ითხოვდა გირაოს შეცვლას პატიმრობით, სასამართლომ განმარტა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლო არ არაა უფლებამოსილი არასწორად და ორაზროვნად განემარტოს კანონის ნორმა გირაოს უზრუნველყოფის მიზნით

ბრალდებულისთვის პატიმრობის შეფარდების სამართლებრივი საფუძველი, თუმცა ვინაიდან ბრალდებულის სახით დაკავებული პირის სტატუსი მთლიანად დამოკიდებულია პირველი ინსტანციის სასამართლოზე, საგამომიებო კოლეგია მოკლებულია შესაძლებლობას დაკავებიდან განთავისუფლებულ პირებს შეუფარდოს გირაო საპატიმრო უზრუნველყოფით, რის გამოც მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების ან შეცვლის საფუძვლები, რის გამოც მიუხედავად აღნიშნულისა როგორც უკვე აღინიშნა საგამომიებო კოლეგია მოკლებულია შესაძლებლობას დაკავებიდან განთავისუფლებულ პირებს შეუფარდოს გირაო საპატიმრო უზრუნველყოფით, რაც თავისთავად გულისხმობს, რომ ბრალდების მხარის საჩივარი დაუშვებლად უნდა იქნას ცნობილი. „სააპელაციო გასაჩივრების საგანი არაა დამოუკიდებლად როგორც გირაოს უზრუნველყოფის ისე დამატებით ღონისძიების დაკისრების საკითხი. პატიმრობის გამოყენების საჭიროება უნდა ეფუძნებოდეს დამაჯერებელ და თანმიმდევრულ საფუძვლებს, რომელთა შეფასებაც კონკრეტულ გარემოებებში მოხდება. ხოლო, ბრალდებულის პატიმრობაში ყოფნის გონივრულობა უნდა შეფასდეს კონკრეტული გარემოებების მიხედვით.“<sup>64</sup> განგრძობადი პატიმრობა შეიძლება გამართლებულიყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საქმის გარემოებები მიუთითებენ ჭეშმარიტი საჯარო ინტერესის არსებობასა და რომელიც მიუხედავად უდანაშაულობის პრეზუმფციისა, გადამლევს ინდივიდუალური თავისუფლების დაცულობის ნორმას. განგრძობადი პატიმრობისა და გირაოს უზრუნველყოფის მიზნით პატიმრობის შეფარდება არსებითად განსახვავებული შემთხვევებია, ევროპული სასამართლო აქცენტს აკეთებს განგრძობადი პატიმრობის დაუშვებლობაზე და არა გირაოს უზრუნველყოფით პატიმრობის შეფარდების აკრძალვაზე, კონვეციაში დასახლებულ ნორმა/პრინციპებთან სრულ შესაბამისობაშია დასახლებული ნორმის მოქმედება, მოცემულ შემთხვევაში კი ადგილი არ

---

<sup>64</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის საქმე №1გ/895-17

ჰქონია განგრძობადიპატირობის საშიშროებას. ის რომ სსსკ-ის 200-ე მუხლის მე-6 ნაწილი დაკავებისას პირის მიმართ გირაოს უზრუნველყოფით პატიმრობის შეფარდებას ითვალისწინებს, აღნიშნული ნორმა მოსამართლის დიკრეციას არ ხელყოფს, კანონის პირდაპირი მოთხოვნაა გირაოს გამოყენებისას დაკავებული პირის მიმართ უზრუნველყოფის მიზნით შეფარდებული იქნას პატიმრობა, აღნიშნული არ არის თვითმიზანი და მიემართება საპროცესო ღონისძიების გირაოს გამოყენების მიზნებს იმ სისხლის სამართლის საპროცესო მიზნებისათვის, რის მისაღწევადაც პირის მიმართ გამოყენებული იქნება აღკვეთის ღონისძიება, ანუ მოსამართლის დისკრეცია სწორედ აღკვეთის ღონისძიების შერჩევასა და გირაოს თანხის ოდენობაში ვლინდება და გულისხმობს, რომ მოსამართლემ ბრალდებულს იმ ოდენობის გირაო უნდა შეუფარდოს, რაც შეესაბამება მის ქონებრივ მდგომარეობას/მის ფინანსურ შესაძლებლობას, აღნიშნული პროპორციის დაცვა მიმართული რომ არ მოხდეს პირის განგრძობად პატიმრობაში ყოფნა.

ასევე მნიშვნელოვანია, თბილისის სააპელაციო სასამართლო საგამომიებო კოლეგიის 1გ/ 1923 - 1 5ქ . თბილისის ვაკე - საბურთალოს რაიონული პროკურატურის სტაჟიორ - პროკურორის ბრალდებულ დ. პ. ს მიმართ 201 5 წლის 30 ნოემბრის განჩინება ზეკანონი არ ადგენს ცალ - ცალკე მიზნებს დაპატიმრების, გირაოს და ა.შ. გამოყენებისათვის, ეს მიზნები ერთიდაიგივეა აღკვეთის ღონისძიების ყველა სახის გამოყენებისათვის. განსხვავება მხოლოდ იმაშია, თუ რა ხარისხისაა ვარაუდი ( ალბათობის რამდენად მაღალი ვარაუდი არსებობს ) ბრალდებულის მიერ ამ ქმედებათა ჩადენისა და ამ საშიშროების აღსაკვეთად რა სახის აღკვეთის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა არსებობს. რაც უფრო მაღალი ხარისხისაა ვარაუდი, რომ ბრალდებული ჩაიდენს იმ ქმედებებს, რომელთა აღსაკვეთადაც ხდება აღკვეთის ღონისძიების გამოყენება, მით უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიება უნდა იქნეს გამოყენებული და პირიქით. სააპელაციო სასამართლო მიიჩნევდა რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ

შესაბამისად არ შეაფასა ქმედების ხასიათი და თავად ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება, ბრა ლდებულის პიროვნული მახასიათებლები, რაც ერთობლიობაში საგამომიებო კოლეგიას მისცემდა საშუალებას დასაბუთებული ვარაუდის საფუძველზე, რომ აღკვეთის იმ მიზნების მიღწევა, როგორცაა პროცესის მონაწილეებზე ზეგავლენის მოხდენის გამორიცხვა, შემდგომი დანაშულებრივი საქმიანობის პრევენცია, გამოძიებასა და სასამართლოში გამოცხადებისგან თავის არიდების უზრუნველყოფა ,გამორიცხვა მტკიცებულებათა მოპოვების ხელის შეშლისგან, თავად ბრალდებულის პიროვნების და მისი ქმედების ხასიათის გათვალისწინებით შეუძლებელი იყო სხვა ნაკლებად მძიმე აღკვეთი ღონისძიების გამოყენება.<sup>65</sup>

ზემოთაღნიშნულ გარომიებათა ერთობლიობით და პლუს იმის გათვალისწინებით, რომ საკმარისად მაღალია ისეთი ქმედების ჩადენის ალბათობა, რომელთა აღსაკვეთადაც გამოიყენება თავად აღკვეთის ღონისძიება საგამომიებო კოლეგიამ მიიჩნია რომ პროკურორის სარჩელი იყო საფუძვლიანი და ბრალდებულ დ. პ. - ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულ უნდა იქნეს პატიმრობა თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის საქმე No1გ/1487-17ბრალდებულ მ. ლ.-ს ადვოკატის გ. ბ.-ს სააპელაციო საჩივარი რუსთავის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 27 დეკემბრის განჩინებაზე, ბრალდებულ მ. ლ.-ს მიმართ შერჩეული აღკვეთის ღონისძიების გაუქმების შესახებ საქართველოს სსსკ-ის 207-ე მუხლი ითვალისწინებს საგამომიებო კოლეგიის მიერ მხარეთა სააპელაციო საჩივრების განხილვის კონკრეტულ წესს. მითითებული მუხლის ადგილი და შინაარსი საპროცესო კოდექსში მიანიშნებს საგამომიებო კოლეგიას მიკუთვნებულ საჩივრების განხილვების განსჯადობას, ანუ საგამომიებო კოლეგია განიხილავს სისხლის სამართლის საქმისწინასასამართლო

---

<sup>65</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლო საგამომიებო კოლეგიის 1გ/ 1923 - 1 5

სხდომისთვის გადაცემამდე, საქმის სასამართლოში არსებითად განხილვამდე, გამოძიების დასრულებამდე არსებულ მხარეთა საჩივრებს. ხოლო აღკვეთის ღონისძიების და საგამოძიებო მოქმედებების თაობაზე, მას შემდეგ რაც სისხლის სამართლის საქმე განსახილველად გადაეცემა წინასასამართლო სხდომას ან არსებითი განხილვისათვის სასამართლოს, სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგია მოკლებულია კანონისმიერ შესაძლებლობას განიხილოს მხარეთა სააპელაციო საჩივრები ბრალდებულის მიმართ შეფარდებულ აღკვეთის ღონისძიებაზე ან ცალკეულ საგამოძიებო მოქმედებაზე, გარდა სსსკ-ის 1433-ე მუხლით გათვალისწინებული დათქმისა. სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგია განიხილავს გამოძიების დასრულებამდე, ანუ წინასასამართლო სხდომამდე ბრალდებულის მიმართ შერჩეულ აღკვეთის ღონისძიებებზე ან ცალკეულ საგამოძიებო მოქმედებებზე მხარეთა სააპელაციო საჩივრებს, რაც თავისთავად მიანიშნებს, რომ წინასასამართლო სხდომისა და საქმის არსებითი განხილვის დროს აღკვეთის ღონისძიებასთან დაკავშირებული მოთხოვნები/საჩივრები ცალკე არ განიხილება და საგამოძიებო კოლეგიაში არ საჩივრდება.<sup>66</sup> საქართველოს სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად წინასასამართლო სხდომის ეტაპზე, საჩივრდება მტკიცებულებათა დაუშვებლად ცნობის შესახებ განჩინება და განჩინება სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ ამდენად აღკვეთის ღონისძიების შესახებ გადაწყვეტილება არ საჩივრდება საგამოძიებო კოლეგიაში, რის გამოც საგამოძიებო კოლეგია მოკლებულია კანონისმიერ შესაძლებლობას მ. ლ.-ს მიმართ აღკვეთის ღონისძიების გაუქმების შესახებ მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

---

<sup>66</sup>თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის საქმე No1გ/1487-17

## დასკვნა

აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მართლზომიერების შეფასებისას აუცილებელია, მხედველობაში იქნას მიღებული საქმესა და ბრალდებულთან დაკავშირებით არსებული კონკრეტული და ინდივიდუალური მახასიათებლები, რაც შექმნის ანდა გამორიცხავს პატიმრობის გამოყენების შესაძლებლობა. სასამართლოს აქვს ვალდებულება აღკვეთის ღონისძიება გამოიყენოს მხოლოდ მკაცრად გაწერილი საფუძვლების არსებობისას, ხოლო პატიმრობა კი გამოიყენოს - როგორც უკიდურესი ღონისძიება და მხოლოდ სათანადო დასაბუთების შემთხვევაში და აუცილებლობისას. თუმცა ამავე დროს, აუცილებელია, რომ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების კონკრეტული სახე იყოს ჩადენილი ქმედების პროპორციული.

ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის მითითებით და რეკომენდაციით, დაპატიმრება გამოყენებული უნდა იქნას საგამონაკლისო ღონისძიების სახით, უკიდურეს შემთხვევაში. ასევე, ის არ უნდა იყოს სავალდებულო ხასიათის და არ უნდა იქნას მიმართული დასჯის მიზნებისათვის. პატიმრობის საგამონაკლისო ბუნება აღნიშნულ რეკომენდაციაში წარმოდგენილია სწორედ უდანაშაულობის პრეზუმფციის კონტექსტში. იმისათვის, რომ წარმოდგენილი რეკომენდაცია პრაქტიკაში მოქმედებდეს, აუცილებელია პროპორციულობის დაცვა, რაც, ეროვნული კანონმდებლობით, აკისრია როგორც შუამდგომლობის წარმდგენ ორგანოს, ისე სასამართლოს. სასამართლოს აქვს ვალდებულება აღკვეთის ღონისძიებ აგამოიყენოს მხოლოდ მკაცრად გაწერილი საფუძვლების არსებობისას,

ხოლო პატიმრობა - როგორც უკიდურესი ღონისძიება, უნდა გამოიყენოს მხოლოდ სათანადო დასაბუთების შემთხვევაში და აუცილებლობისას.

ბრალდების მხარეს ეკისრება ვალდებულება, წარმოადგინოს დასაბუთება აღკვეთის ღონისძიების კონკრეტული სახის გამოყენების პროპორციულობასთან დაკავშირებით. ამასთან, აღნიშნული ნორმა ადგენს პროკურორის ვალდებულებას, დაასაბუთოს, თუ რატომ არის საჭირო კონკრეტულად მის მიერ შუამდგომლობის დროს წარმოდგენილი აღკვეთის ღონისძიების გამოყენება და რატომ ვერ იქნება მიზანი მიღწეული სხვა ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებით.

ევროპული სასამართლოს მიერ განვითარებული პრაქტიკა ნათლად მოწმობს საპატიმრო აღკვეთის ღონისძიების საგამონაკლისო ბუნებაზე და საკითხის განხილვის დროს მნიშვნელოვანია დადგინდეს, თუ რამდენად არსებობს ბრალდებულის მიმართ პატიმრობის გამოყენების აუცილებლობა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ეტაპზე და თუ ნაკლებად მკაცრია აღკვეთის ღონისძიების გამოყენებით შეიძლება მიღწეულ იქნას საღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზნები, მაშინ უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენება არ არის მართლზომიერი.<sup>67</sup>

---

<sup>67</sup> სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის განჩინება, საქმე N1გ/1244-14.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია, 1995;
2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009;
3. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენცია, 1950;
4. საერთაშორისო პაქტი „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“, 1966;
5. ავტ. კოლ. , საქართველოს სისხლის სამართლის პროცესის კომენტარები, თბ., 2015;
6. აღკვეთის ღონისძიებების გამოყენება სისხლის სამართლის პროცესში: კანონმდებლობისა და პრაქტიკის კვლევა- კოალიცია დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის, თბ., 2011;
7. ბენიძე ვ. ,დაპატიმრებისა და შინაპატიმრობის აღკვეთის ღონისძიებად გამოყენების პრობლემები, თბ., 2003;
8. გაბისონია ი., აღკვეთის ღონისძიებანი სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2003;
9. თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის უფლება-ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბ., 2003;
10. ლობჯანიძე გ. , ადამიანის უფლებათა სამართალი, თბ., 2005;
11. მაკბრაიდი ჯ. , ადამიანის უფლებები და სისხლის სამართლის პროცესი- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სასამართლო, თბ., 2011;
12. მამნიაშვილი მ., გახოკიძე ჯ., აქუზარდია ი. და სხვ., საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, კერძო ნაწ. თბ., 2012;
13. მამნიაშვილი მ., გახოკიძე ჯ., აქუზარდია ი. და სხვ., საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, კერძო ნაწ. თბ., 2013;
14. ტრექსელიშვილი „ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, თბ., 2009;
15. წინასწარი პატიმრობის შეფარდებასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა სამართლის ანალიზი, ხაინდრავა ნ, ბოხაშვილი ბ, ხიდაშელი თ, თბ., 2010;
16. ხარვეზები და რეკომენდაციები სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში- ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბ., 2012;
17. ევრო სასამართლოს გადაწყვეტლებანი;
18. ევრო სასამართლოს სტანდარტები;
19. კონტრადა იტალიის წინააღმდეგ, საქმე N 92/1997/876/1088 (24.08.1998);
20. ლეტელიე საფრანგეთის წინააღმდეგ, საქმე N 12369/86 (26.06.1991);
21. საქართველოს სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის განჩინება, საქმე №-1გ/1282;
22. საქართველოს სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის განჩინება, საქმე №1/გ-621;
23. საქართველოს სააპელაციო სასამართლოს საგამომიებო კოლეგიის განჩინება, საქმე N1გ/1244-14;
24. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე N3/2/646, 2015 წლის 15 სექტემბერი;
25. <[http://www.coalition.org.ge/article\\_files/150/აღკვეთის%20ღონისძიებების%20გამოყენება%20სისხლის%20სამართლის%20პროცესში.pdf](http://www.coalition.org.ge/article_files/150/აღკვეთის%20ღონისძიებების%20გამოყენება%20სისხლის%20სამართლის%20პროცესში.pdf)>



26. <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/saqmis-ganxilva-braldebulis-dauswreblad.pdf>
27. <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-01000-00---off-0samartal--00-1---0utfZz-8-00&a=d&c=samartal&cl=CL4.1&d=HASH0113dd5b158a2daf7bf6951d.4>
28. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034>
29. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 03 დეკემბერი, 2014 წელი საქმე საქმე №1 გ/ 1226
30. თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის საქმე 1გ/ 1923 - 15
31. თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის საქმე №1 გ/ 1483
32. თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის საქმე №1გ/895-17
33. თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის საქმე საქმე No1გ/1487-17